



# საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

## 64 სექცია.

შაბათი, ნოემბრის 23, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდმარე ნიკოლოზ ჩხეიძე.  
მდივნობს პარლამენტის მდივანი დავით ონიაშვილი.

პრეზიდიუმში არიან: პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და აგრეთვე მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია.

კრება დაიწყო ნაშუადღევს 12 საათზე და 50 წ.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაბრძანდეთ. კრება გახსნილი გახლავთ. განსახილველია:

1) დებულება სახელმწიფოს კანტროლისა და მისი უწყების საგანთათვის.

2) დამატება სახელმწიფოს კანტროლისა და მისი უწყების საგანთა დებულების მე-34 მუხლისა;

3) რევიზიის წესდება;

4) სახელმწიფო კანტროლის შტატები;

5) კანონპროექტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კანტროლის შესახებ. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გრიგოლ რცხილაძეს.

გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ.). ბატონებო! იურიდიულ კომისიამ წარუდგინა პარლამენტს განსახილველად დებულება სახელმწიფო კანტროლის და მის უწყებათა საგანთათვის და სარევიზიო წესდება.


სახელმწიფო კანტროლის დაწესებულებანი რუსეთში შეფარდებული იყო იმ საერთო პოლიტიკურ პირობებთან, რომელშიაც რუსეთი იმყოფებოდა და აგრეთვე იმ ვრცელ ტერიტორიასთან, რომელსაც რუსეთის იმპერია წარმოადგენდა.


საკონტროლო დაწესებულებანი წარმოადგენდნენ საქმოდ რთულ სისტემას: ისინი განიყოფებოდნენ საფეხურებად — ადგილობრივი კანტროლო და შუამავალ დაწესებულებებად.

ჩვენს პირობებში ამ სისტემის მიხედვით საკონტროლო დაწესებულებების მოწყობა ერთის მხრივ მეტის-მეტად ძვირად დაჯდება და მეორე

Handwritten mark

Handwritten number 55557





რეს მხრივ არ იქნება გამამართლებელი ჩვენ ტერიტორიალურ პირობებით.

ამიტომ ის ცვლილება, რომელიც შეაქვს თქვენს განსახილველად წარმოდგენილ დებულებას საკონტროლო დაწესებულების აგებულებაში, — ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ დაწესებულებას ამართივებს, სპობს შუამავალ ინსტანციას და პირდაპირ დამოკიდებულებას ამყარებს ცენტრსა და ადგილობრივ საკონტროლო დაწესებულებათა შორის.

ასე, რომ მთელი ორგანიზაცია საკონტროლო დაწესებულებათა წარმოადგენს ერთ მთლიან ერთეულს, რომლის შტოები იმოქმედებენ ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში.

მეორე საყურადღებო მხარე, რომელზედაც თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო არის ის მთავარი პრინციპი, რომ საკონტროლო დაწესებულება მთლიანად წარმოადგენს ხალხის წარმომადგენლობას, ესე იგი, პარლამენტის დამამარე დაწესებულებას.

პარლამენტი არის უმაღლესი გამგე ყველა სახელმწიფო ქონებისა, უმაღლესი ზედამხედველი ყველა შემოსავალ-გასავლისა.

თავისთავად ცხადია, რომ თვითონ პარლამენტს არ შეუძლია დაწვრილებით ადგენოს თვალ-ყური სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს, ამიტომ აუცილებელია პარლამენტარიზმის პრინციპის თანახმად, — პარლამენტმა იყოლიოს დამამარე ორგანიზაცია, რომელიც ამ მუშაობას აწარმოებს მისი სახელით და მისი დავალებით.

რადგანაც ამ დაწესებულებას მხოლოდ საკონტროლო ფუნქციები უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭირო შეიქმნა ზოგიერთ ცვლილებების შეტანა იმ დებულებაში, რომელიც მოქმედებდა რუსეთში.

ზოგიერთ შემთხვევაში რუსეთის საკონტროლო დაწესებულებას მიკუთვნებული ჰქონდა გამგებლობითი ფუნქციები. ეს გამგებლობითი ფუნქციები სრულიად ჩამოშორდა ჩვენს საკონტროლო დაწესებულებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთში მომქმედ წესებით ხარჯთაღრიცხვის აღსრულების ანგარიშს წარუდგენდა რუსეთის სათათბიროს სახელმწიფო კონტროლი, შემდეგ ხარჯთაღრიცხვის ასრულება სწარმოებდა ფინანსთა სამინისტროში. აქ ცვლილებაა შეტანილი და ფუნქციები ანგარიშების წარდგენისა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დაეკისრება ფინანსთა მინისტრს.

ამ გვარად ეს მხარე გამგებლობისა საკონტროლო დაწესებულებას ჩამოშორდა.

თვით კონტროლის, ე. ი. რევიზიის წარმოება რუსეთში მოქმედებდა 1859 წ. შემოღებულ წესების მიხედვით. ეს წესები შემოღებული იყო მაშინ, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო შემოტანილი პრინციპი კასის მთლიანობისა. შემდეგ კვლავ ახალი ცვლილებები იქნა შემოღებული 62-64 წლებში. ამის გამო თვით წესები რევიზიისა



რუსეთის კანონდებლობაში საკმაოდ დასახელებული და სისტემატიურად დალაგებული არ არის. სწორედ ამიტომ საჭირო შეიქმნა სისტემაში მოყვანა რევიზიის წესდებისა, რომელიც ეხლა მიზან-შეწონილად უნდა ჩაითვალოს.

ეს სისტემაში მოყვანა გამოიხატება რევიზის ახალ წესდების შედგენაში.

ერთი თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც შეტენილია ამ დებულებაში, არის ის, რომ ამ რევიზიის წესდებით განზრახულია დაკანონდეს წინასწარ რევიზიის წარმოება.

რევიზია შეიძლება დალაგდეს მ ნაწილად: რევიზია წინასწარი, შემდგომი, და ფაქტიური რევიზია. წინასწარი რევიზია გულისხმობს იმას, რომ ხარჯი, რომელიც გასაღებია სახელმწიფო ხაზინიდან, ვიდრე გაიღებოდეს, უნდა დადასტურებული იყოს სახელმწიფო კონტროლიორის მიერ, რომ ეს ხარჯთ აღრიცხვა შეეფერება კანონებს, რომელიც წარმოადგენილია პარლამენტში.

აი ეს წინასწარი შემოწმება უზრუნველ ჰყავს სახელმწიფოს იმიტგან, რომ არავითარი ხარჯი არ ექნება გაღებული ისე, რომ არ ამართლებდეს პარლამენტის მიერ უკვე მიღებულ დადგენილებას.

ეს წესი წინაღ რუსეთში არ არსებობდა, ხოლო ევროპაში ზოგან არსებობდა და ზოგან კი არა საერთოდ შეიძლება ესთქვათ, რომ პატარა ქვეყნებში ასეთი წესი არსებობს, ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც ვრცელი ტრატერია ირის ესეთი წესი არ არსებობს.

თვით ჩვენს სახელმწიფო კონტროლს განზრახული ჰქონია შემოეღო ფაკულტატიური, წინასწარი რევიზია, რომ უფლება ჰქონოდა ეწარმოებინა წინასწარი რევიზია იქ, სადაც და როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა.

იურიდიულ კომისიაში ამის შესახებ ერთხმად გამოუთქმელი იქმნა აზრი, რომ ზოგიერთი ხარჯთა შესახებ სავალდებულო უნდა იყოს წინასწარი რევიზია. სახელდობრ მაშინ მოგახსენებთ როდესაც მუხლომბრივ განვიხილავთ კანონპროექტს ეს აზრი მოწონებულია და დადასტურებულ საფინანსო კომისიის მიერ. იგი დაეთანხმა იმ შესწორებებს, რომელიც შეიტანა იურიდიულ კომისიამ სახელმწიფო კონტროლიორის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში.

სისტემა რევიზიისა გულისხმობს აგრეთვე ერთგვარ მეთვალყურეობას იმათ შესახებ, ვინც უნდა ანგარიში წარმოადგინონ.

ამიტომ თავის თავად ცხადია, საკანტროლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საშუალება და უფლება აიძულოს ყველა დაწესებულებანი დროზე წარუდგინონ საკანტროლო დაწესებულებას თავის ანგარაშები; წინააღმდეგ შემთხვევაში საკანტროლო დაწესებულება ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, რადგან უბრალო მარტივი მოითხოვნა ანგარიშისა, როგორც ამტკიცებს ამას პრაქტიკა მთელი ქვეყნისა, ჩვეულებ-



ბრივად საკმაო არ არის. რუსეთში მაგალითად ხშირად ფერხდებოდა საბოლოოდ ანგარიშის შედგენა, რადგან დროზე არ უდგენდნენ სხვა და სხვა ვალდებული დაწესებულებანი თავის ანგარიშებს. და კონტროლს არ შეეძლო მათ მიხედვით საბოლოო ანგარიშების შედგენა. აი ამისთვის, რომ ასეთი უწყსრიგობა არ იყოს ჩვენს სახელმწიფოში, ჩვენ უნდა შევიიარაღოთ საკანტროლო დაწესებულებანი ერთგვარ დისციპლინარულ უფლებებით.

საკანტროლო დაწესებულებას შეუძლიან მოსთხოვოს პრაქტიკული ანგარიშის წარმოდგენა იმ დაწესებულებებს, რომელნიც ვალდებულნი არიან. საკონტროლო დაწესებულებას შეუძლიან აგრეთვე ერთგვარი დისციპლინა დაუწესოს იმ პირებს, ვინც ანგარიშს არ წარუდგენს. ანგარიშის განხილვის შედეგი არის ის, რომ ანგარიში იქნება ან სწორი, ან და შენიშნული, — იქნება რაიმე უსწორობა. შეიძლება ეს უსწორობა ისეთი იყოს, რომ თვალსაჩინო დანაკლისი გინცადოს სახელმწიფო ხაზინამ. როდესაც გამოირკვევა ასეთი უსწორობა, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება მიღებულ იქმნეს ზომები, რომ ხაზინის დანაკლისი ანაზღაურდეს. საკანტროლო დაწესებულებას ეძლევა უფლება მოახდინოს, ეგრედ წოდებული „ნაჩოტები“ შეაწეროს ამ პირებს ანგარიში — დანაკლისი. თუ ანგარიში — დანაკლისი მცირეა, ამ შემთხვევაში, ამ პროექტით გარდაწყვეტილია ანგარიში დანაკლისი შეეწეროს იმ პირთ თუ დაწესებულებათ. რომელთათვისაც პირდაპირ სავალდებულო ხდება კონტროლის მიერ შეწერილ ანგარიშ დანაკლისის გადახდა. როდესაც სახელმწიფო კონტროლის მიერ გადაწყვეტილი ჯარიმა აღმატება განსაზღვრულ ჯამს, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება ეძლევა განსაჩივროს სახელმწიფო კონტროლის დადგენილება.

ეს არის მთავარი მუხლები, რომელზედაც აშენებულია თქვენს წინაშე წარმოდგენილი დებულება სახელმწიფო კონტროლის, და სარევიზიო წესდება. ამას დართული აქვს ხარჯთ აღრიცხვაც.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა? თუ სიტყვა არავის ეძლევა მაშინ გადავალთ, მუხლობრივ განხილვაზე.

თუ ვისმეს სიტყვა გნებავთ გთხოვთ ჩაეწერათ.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს):

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის.**

განყოფილება პირველი:

სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის.

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონ-



ტროლი შეადგენს სახელმწიფო მართველობის ცალკე ნაწილს, რომელიც ასრულებს სახალხო წარმოადგენლობის კონტროლს.

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს):

2. სახელმწიფო კონტროლი: ა) ამოწმებს, საკანონმდებლო დაწესებულებაში განსახილველად წარდგენამდე, სამინისტროთა საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვას, ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილს ა) სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას და ბ) საერთო ანგარიშს ამ აღრიცხვის აღსრულების შესახებ, -გრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტად ფულის გადადების მოთხოვნებს: ბ) ჰსინჯავს, რამდენად წესიერია აღმასრულებელ ხელმწიფების მოქმედება შესახებ გარდასახადთა და სახელმწიფოს სხვა შემოსავლის აკრეფის და მათი ნამდვილ დახარჯვისა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ დანიშნულ საჭიროებისათვის; გ) თვალყურს ადევნებს, რომ აღმასრულებელი ხელმწიფება არ ასცდეს იმ გეგმას, რომელიც მას ნაწევნები აქვს სამოქალაქოდ: დ) იძლევა დასკვნას იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა და მიზანშეწონილი აღმასრულებელ ხელმწიფების მიერ. განზრახული სამეურნეო მოქმედებანი, და მეთვალყურეობას უწევს, ხელმძღვანელობს თუ არა იგი საზოგადოდ საერო ქონების ხარჯვის საქმეში კანონითა და დამზოგველობით; ე) ამოწმებს ანგარიშის წარმოებას და დაწესებულ ანგარიშებს შესახებ ფულადი და ნივთბრივი თანხების მოძრაობისა, რომელ თანხებსაც განაგებენ მის წინაშე ანგარიშ-ვალდებულნი დაწესებულებანი; ვ) ადგილობრივ ამოწმებს როგორც სახაზინო რკ. გზების, ისე საერთოდ ყველა სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებათა და დაწესებულებათა ფულადსა და ნივთბრივი თანხებს, აღგებულებათ, შენობებსა და სხვა ნამოქმედარს და აგრეთვე შემოსავალსა და ხარჯებს; ზ) თვალყურს ადევნებს, რომ წესიერად სწარმოებდეს კრედიტების განაწილება და გატარება კასებსა და ხარჯთ-აღრიცხვათა დაყოფილობაში; ლ) თვალყურს ადევნებს, რომ ყველა მის მიერ შესამოწმებელ თანხების აღნიშვნა ხარჯთ-აღრიცხვის დაყოფილობაში წესიერად მიზანშეწონილად ჰხდებოდეს და თ) იძიებს საშუალებას ანგარიშის წარმოება შედგგვის წესისა და ფორმის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე აწესებს ამ საქმეში წესრიგს, რომლის შემოსაღებად კანონმდებლობის ნებართვა საჭირო არ არის, და მის ასრულებას ავალებს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებებს.

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს): მ. ზემოდ დასახელებულ (მუხ. მე-2) მოკალეობათა ასასრულებლად სახელმწიფო კონტროლს უფლება ეძლევა წინასწარ, შემდგომ და ფაქტიურ რევიზიისა.



**თავმჯდომარე.** ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს). 4. ფარგალი და წესი მე-მ მუხლში აღნიშნულ რეკვიზისა და სახელმწიფო კონტროლის მეთვალყურეობისა იმაზედ, რომ მის წინაშე ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა განკარგულებითი და აღსრულებითი მოქმედება იყოს კანონიერი, წესიერი და ეკონომიური და რომ დაცულ იყოს ფულადი და ნივთბრივი თანხანი, — განისაზღვრება რევიზიის წესდებითა და იმ დადგენილებით, რომელთა საფუძვლით უნდა სწარმოებდეს კონტროლის წინაშე ანგარიშ-გასაწევი მოქმედებანი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს). 5. რევიზიით მოპოვებულ მასალათა და მოსაზრებათა საფუძვლით სახელმწიფო კონტროლიორი წარუდგენს საკანონმდებლო დაწესებულებას 15 დეკემბრისთვის ყოველწლიურს სარევიზიო მოხსენებას კონტროლის დასკვნითურთ: ა) შესახებ საერთო შემოსავალ-გასაღლის აღრიცხვის აღსრულებისა წარსულ საბარჯთ-აღრიცხვო ხანაში; ბ) შესახებ აღმასრულებელ ხელმწიფების წესიერ ანუ უწყესო მოქმედებისა, ცნობების აღნიშვნით შესახებ იმისა, თუ რა შედეგები ჰქონდა მოხდენილს რევიზიას, რა უწყესო მოქმედებანი აღმოჩნდა რევიზიის დროს, რა და რა ანგარიშის — დანაკლისი და საურავი იქმნა დაკისრებული, რა და რა სისხლის სამართლის საქმე აღიჭრა და გ) შესახებ თვით სახელმწიფო კონტროლის უწყების მოქმედებისა საანგარიშო ხანაში. ამ მოხსენებაშივე იქნება დახასიათება უმთავრეს სამეურნეო მოქმედებათა და გამოთქმული მოსაზრებანი საბევრო სისტემის მოქმედების აკარგვიანობისა და აგრეთვე ხარკისა, ბაჟისა და სხვა სახის სახელმწიფო შემოსავლის გარდახდევინების წესრიგის შესახებ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრიგოლ რცხილაძე.** (კითხულობს). 6. სახელმწიფო კონტროლი ვალდებულია წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებას, მისის მოთხოვნილებისამებრ, საბუთის ქაღალდები და ცნობები.

**თავმჯდომარე.** ვის ჰსურს სიტყვა?

**კონსტანტინე აფხაზი.** (დამ. კავშ.) სიტყვა მიბოძეთ!

**თავმჯდომარე.** მეექვსე მუხლის შესახებ?

**აფხაზი.** დიახ.

**თავმჯდომარე.** ინებეთ სიტყვა, თუ გნებავთ.

**აფხაზი.** მეექვსე მუხლში ნათქვამი არის: სახელმწიფო კონტროლი ვალდებულია წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებას, მისის მოთხოვნილებისამებრ, საბუთის ქაღალდები და ცნობები, რომელიც საჭირო იქნება მე-5-ე მუხლში აღნიშნულ სარევიზიო მოხსენების განსახილველად; ამასთანავე ანგარიშები და ყველა საქმე გაასინჯოს თავმ-



ჯდომარეს და მისის მონდობილების თანახმად წევრებსაც საკანონმდებლო დაწესებულების იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენება ან ანგარიში ფინანსთა მინისტრისა ხარჯთ აღრიცხვის აღსრულების შესახებ და ყოველივე, განმარტება და ცნობა მიაწოდოს, რომელიც იმითთვის საჭირო იქნება.

მე მგონი რომ ამ მუხლში ეს ნაწილი: „რომელიც საჭირო იქნება მე 5-ე მუხლში აღნიშნულ სარევიზიო მოხსენების განსახილველად“ და სხვა ბოლომდის ზედმეტია და უნდა ამოიშალოს.

**თავმჯდომარე.** მე ექვსე მუხლი ასეთი გახლავთ: სახელმწიფო კონტროლი ვალდებულია წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებას, შორის მოთხოვნილებისამებრ საჭირო საბუთის ქაღალდები და ცნობები.

**აფხაზი.** წუხელი სადამოთი მომცეს მე ეს კანონ-პროექტი და არ ვიცოდი რომ ახალი შესწორება იყო. მაშ ბოდიშს ვიხდი.

**თავმჯდომარე.** არაფერს. მაშასადამე მეექვსე მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

**გ ა ნ შ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ო რ ე :**

სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობისაგვის.

7. სახელმწიფო კონტროლს შეადგენს: ა) სახელმწიფო კონტროლიორი, ბ) სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, გ) სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, დ) სექციათა გამგენი, ე) უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორის თანაშემწენი და მონაგარიშე მოხელენი და ვ) საკანცელარიო ნაწილის მოხელენი: მდივანი, უფროსი საქმის-მწარმოებელი, საქმის-მწარმოებელნი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწენი და არხივარიუსი.

ვინ არის წინამდებელი ამ მუხლისა? მაშასადამე მუხლი მიღებულია. **რცხილაძე** (კითხულობს).

**შენიშვნა;** ანგარიშთა რევიზიის განაწილების გასაადვილებლად სახელმწიფო კონტროლის დაწესებულება განიყოფება სექციებად, ხოლო სექციები—განყოფილებებად (სახელმწიფო კონტროლიორის მიხედულობის თანახმად).

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინამდებელი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ რცხილაძე** (კითხულობს).

8. სახელმწიფო კონტროლის გამგებლობა და მისი მოქმედების წესიერებისა და წარმატების მეთვალყურეობა მინდობილი აქვს, მინისტრის უფლებებით, სახელმწიფო კონტროლიორს, რომელსაც საკანონმდებლო დაწესებულება ირჩევს და ჰნიშნავს, აგრეთვე ითხოვს სამ-



სახურიდან. სახელმწიფო კონტროლიორი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მარტო საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე. სახელმწიფო კონტროლიორი მონაწილეობას იღებს საკანონმდებლო დაწესებულების სხდომებში სახელმწიფო კონტროლის უწყების საქმეთა და საკითხთა განხილვის დროს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

9. სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგს ჰნიშნავს საკანონმდებლო დაწესებულება სახელმწიფო კონტროლიორის წარდგენილობით და იგივე ითხოვს მას სამსახურიდან. მისი პასუხის-მგებლობა სამსახურის შრივ რესპუბლიკის კონსტიტუციით განისაზღვრება. სახელმწიფო კონტროლიორის არ — ყოფნისა ანუ ავადმყოფობის დროს იმის თანამდებობას ასრულებს მისი ამხანაგი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

10. სახელმწიფო კონტროლის დანარჩენ მოხელეთ ირჩევს, თანამდებობაზედ ჰნიშნავს და სამსახურიდან ითხოვს სახელმწიფო კონტროლიორი.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მელიტონ რუსიას.

**მელიტონ რუსია.** (ს. დ.) სახელმწიფო კონტროლიორს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში, სახელმწიფოში. ცხადია, მას მოვალეობა დიდი აქვს და რომ კონტროლიორმა და მის მოხელეებმა პირნათლად შეასრულონ ეს დიდი მოვალეობა, ჩვენ უნდა ერთგვარი გარანტია მივცეთ აი ამ მოხელეებს. ამ მუხლში სწერია, რომ დაახლოვნა მოხელეებისა დამოკიდებულია სახელმწიფო კონტროლიორზე ჩვენ ამის წინააღმდეგი, რასაკვირელია, არაფერი გვქვს, მაგრამ საჭიროა, როგორც მოგახსენეთ, ერთგვარი გარანტია, რომ ეს მოხელეები არ იქმნენ დათხოვნილი უმიზეზოდ. აი მიტომ ჩვენ მიგვაჩნია საჭიროთ, რომ ამ მუხლში შემდეგ შენიშვნა შევიტანოთ: „ამ მუხლში აღნიშნულ მოხელეთა დათხოვის დროს სახელმწიფო კონტროლიორი მოითხოვს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, საერთო საკრებულოს დასკვნას, რომლის შეწყნარება დამოკიდებულია სახელმწიფო კონტროლიორზე.“ მაშასადამე ნაჩვენები უნდა იყოს, რომ მათი დათხოვის დროს სახელმწიფო კონტროლიორს მოეთხოვება დასკვნა.

იმ კოლეგიისა, რომელიც სახელმწიფო კონტროლიორთან დაწესებული არის. ეს კოლეგია გახლავს საერთო საკრებულო. (ხმა: რა საკრებულო)?

ეს საკრებულო შესდგება თავმჯდომარისაგან, სახელმწიფო კონტროლიორისაგან, მი ამხანაგისაგან, და შემდეგ დირექტორებისაგან,





დირექტორების სექციებისაგან. აი ყველა ეს პირნი შეადგენენ საერთო საკრებულოს.

ჩვენი ფრაქცია საჭიროდ რაცხს, რომ როცა სახელმწიფო კონტროლიორი საჭიროდ დაინახავს, რომ ესა, თუ ის ჩინოვნიკი, ან მისი თანაშემწე უნდა იყოს დათხოვნილი, მან უნდა მოსთხოვოს დასკვნა, საზოგადო საკრებულოს აი ამ კაცის დათხოვნის შესახებ, როდესაც საკრებულოს აძლევს დასკვნას, ეს არ არის სავალდებულო, რასაკვირვლია, სახელმწიფო კონტროლიორისთვის. ამას შეუძლიან, მიუხედავად ასეთი დასკვნისა მაინც და მაინც თავისი უფლებით გადასწყვიტოს, მაგრამ ერთგვარი გარანტი ამაინც უნდა იყოს. ჩვენ ასეთ გარანტიას მოვითხოვთ, და ჩვენი წინადადება არის ამ აი მუხლში გაკეთდეს შემდეგი შენიშვნა: „ამ მუხლში აღნიშნული მოხელეთა დათხოვნის დროს სახელმწიფო კონტროლიორი მოითხოვს ყოველ ცალკე შემთხვევაში საერთო საკრებულოს დასკვნას, რომლის შეწყყნვრება დამოკიდებულია სახელმწიფო კონტროლიორზე ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ასეთი შენიშვნა იყოს გაკეთებული.“

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის სპირიტონ კედლას.

**სპირიტონ კედლა.** (ერ. დემ.) მართალია, ჯერ ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული ჩვენი ქვეყნისთვის კონსტიტუციის ძირითადი კანონები მართვაგამგეობისთვის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საყოველთაოდ მიჩნეულ დებულებებით მართვა გამგეობას საქმეში. თუ ანალოგიურად ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენ დღესდღეობით არ შეგვიძლიან მივიღოთ ის, რაც ეხლა სთქვა პარლამენტის წევრმა რუსიამ. სახელმწიფო კონტროლიორი იგივე მინისტრი არის, იგი არის არჩეული საკანონმდებლო დაწესებულების მიერ.

თვით ის ფაქტი, რომ, კონტროლიორი არის არჩეული პარლამენტის მიერ, მომასწავებელი იმის, რომ პარლამენტი მას სრულ ნდობას უცხადებდეს და მის პასუხის მგებლობაში სრულიად დარწმუნებულია.

მეორეს მხრივ, ეხლა მინისტრს შეუძლიან თავის სამინისტროდან თავის უწყებიდან დაითხოვოს ესა თუ ის მოხელი. ამ შემთხვევაში მინისტრისგან, ჩვენ არ ვთხოვლობთ იმ გარანტიას, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი. ამას კი სახელმწიფო კონტროლიორისაგან ვთხოვლობთ. ამგვარად, უფლება წაერთმევა მას, და მის მოქმედებაში წინასწარ შეტანილია ერთგვარი შეზღუდვა.

აქ წამოყენებულია პირინციპი იმისა, რომ იყოს გარანტია, რომ ის პირნი დათხოვნილნი იქნებიან მაშინ, როცა საჭიროებისამებრ საერთო საკრებულოს დასკვნა იქნება გამოტანილი. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი პერსონალური პასუხის მგებლობა ყველაზე უფრო სანდო გარანტიაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყოველად შეუძლებელია. ბატონმა პარლამენტის წევრმა, რომელიც ამას წინადადებას აკობდა თავის ბო-



ლო სიტყვაში ისე აღნიშნა, რომ ეს საკრებულოს დასკვნა, მაინც და მაინც სავალდებულო არ არის კონტროლოლორისათვის, მაგრამ იმისთვის კი, რომ გარანტია იყოს, მართლა დანაშაულისთვის, არის დათხოვნილი კაცი თუ არა, — ეს საჭიროაო. აი ამისთვის არის საჭირო მისი წინადადება. თუკი იგივე ორატორი ამბობს, რომ კონტროლორს შეუძლიან ამ დასკვნის მიუხედავად აღამიანი დაითხოვოს სამსახურიდან. მაშასადამე ამ საკრებულოს დასკვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თუ იგი არ იქნება კონტროლორისათვის სავალდებულო, — იქნება, თუ არა სავალდებულო პარლამენტისთვის? და პარლამენტს, ამის გამოისობით, ექნება თუ არა უფლება მოსთხოვოს ანგარიში კონტროლორს? მერე თუ კი ერთსა და იმავე პიროვნების შესახებ, ერთსა და იმავე უწყების, თუ საკრებულოს დასკვნა წინააღმდეგი იქნება კონტროლორის აზრისა, მაშინ ამ უწყებაში გაჩაღდება უთუოდ ერთნაირი შეხლა-შემოხლა ამ პიროვნების გარშემო.

ამნაირად, ამ მიუხილთ, ჩვენ ამ უწყებაში შევატანთ ისეთნაირ რამეს, რომელიც უსათაოდ მანვე შედგეს მოიტანს. მერე თუ კი არავითარი ვადასწვევტი მნიშვნელობა არა აქვს დასკვნას იგი სრულიად ზედმეტია, იმიტომ რომ, იმის შემოღებით ჩნდება ერთნაირი დაპირდაპირება კონტროლორისა, რომელიც არის მთავარი პირი, და მის რომელიმე მოხელისა, რომელიც ამ შემთხვევაში მოწვეულნი არიან კონტროლორის მიერ.

ამ მოსაზრების მიხედვით ჩვენ მგვაჩნია ყოველად მიუღებლად, რომ შემოღებული იქნეს პრინციპი კოლეგიურ პასუხის გებლობის ამ დაწესებულებაში.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის სახელმწიფო კონტროლორს გოგიჩაიშვილს.

**სახელმწიფო კონტროლორი — ფილიპე გოგიჩაიშვილი.** ბატონებო, მე უნდა მოვახსენოთ, რომ ეს მხარე ამ ჩვენ კანონ-პროექტში გვერდ აქცეულია და განზრახ არის გვერდ — აქცეული.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ბევრ ქვეყნებში კონტროლის დაწესებულებებში მიღებული, პრინციპი კონტროლის მოხელეების გადაუყენებლობისა. იგივე პრინციპი არსებობს, რა პრინციპიც არის მოსამართლეებისთვის. როგორც მოსამართლეებს ვერ გადააყენებენ, ისე სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს. ჩვენ ამის შემუშავებას შევუდექით, ამ გარემოებას დიდი ყურადღება მივაქციეთ და მის შესახებ ჩვენ გვეკონდა დიდი მსჯელობა და ლაპარაკი.

ჩვენ კარგა ხანს ვმსჯელობდით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია და სასარგებლო ამ პრინციპის მიღება ეხლა, როდესაც ჩვენ ვაარსებთ დაწესებულებას და უნდა შეექმნათ იგი იმ კონკრეტულ გარემოების გინდვით რომელიც არის ჩვენში. შეიძლება ვთქვათ რომ ამ დაწესებულებას ჩვენ ეხლა ვქმნით და ეხლა ხალხი უნდა მოვამზადოთ.



ეს ხალხი კი, რომელსაც თანდათან მოვიწვევთ ამ დაწესებულების შესაქმნელად ჯერ კიდევ არ არის, როგორც თქვენ იცით, რამოდენიმე მომზადებულნი საქმისთვის: და იმ კონტინგენტისთვის, რომ თავიდანვე შემოვიღოთ პრინციპი გადაუყენებლობისა, ეს ჩვენის აზრით, თავიდანვე არ შეიძლება. როცა რამდენიმე წელიწადი გავა, როდესაც ეს დაწესებულება, სახელაწიფოს კონტროლი, დადგება ისეთ ღონეზედ, როდისაც მომზადებული ხალხი ეყოლება მოსამსახურებად, მაშინ შეიძლება ეს პრინციპი განხორციელებული იყოს, რადგანაც გვეცოდინება რომ, აქ არ გვეყოლება შემთხვევით მოხვედრილი კაცი, რომელიც ასე, თუ ისე, ისარგებლებს გადაუყენებლობის პრინციპით.

იმ აზრს კი, რომელიც წამოაყენეს აქ, მე უფრო გავფართოებ და მოგახსენებთ, რომ მაზედ პრინციპილურად შეიძლება მსჯელობა.

ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში, ერთგვარ არსებულ პირობების გამო, მე მოკლებული ვარ საშუალებას, რომ სავსებით მოგახსენოთ ყველაფერი ამის შესახებ, მაგრამ ბევრმა მგონი იცის, რომ დღესდღეობით, ჩვენ არ შეგვიძლიან დავადგეთ ამ პრინციპს, იმიტომ რომ, ეს ხელს შეგვიშლის, ვიდრე დაწესებულება არ დაგვიყენებია მტკიცე ნიადაგზე. ყველა გარემოებაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ აი ის რაც ეხლა არის წამოყენებული, მიუღებელია, თუ გნებავთ იმ მხრივაც, რომ სახელმწიფოს კონტროლიორი არის სათავეში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სარევიზიო საქმე ისეთი რამ არის, რომ მოსამსახურებე არავინ არ არ უნდა ახდენდეს გავლენას, იგი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. საქმე ისე უნდა დააყენოს, როგორც მისი სინიღისი და ჭკუა გაუჭრის. ამის და მიხედვით მან უნდა წარადგინოს სწორი დასკვნა და სწორი შედეგი რევიზიისა. ამიტომ ეს ადამიანი არ უნდა ხელმძღვანელობდეს კონტროლიორის შეხედულობით, თუ ეს შეხედულობა არ ეთანხმება თვითონ საქმეს. მაგრამ როგორც მოგეხსენებთ ამის პირობები არ არის ჩვენში. რამდენიმე დრომ, რამდენიმე ხანმა უნდა განვლოს, ვიდრე შეიქნება ნამდვილი კონტიგენტი მოსამსახურეებისა. მაშინ ჩვენ გვეცოდინება, რომ ის ვინც სათავეშია, მომზადებულია და თავის ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, თუ შივილებთ იმ შესწორებას, რომელიც აქ წარმოდგინეს ამით, რასაკვირველია, სახელმწიფოს კონტროლიორი მოიშორებს თავიდან ერთგვარ პასუხისმგებლობას. თუ დასკვნა წარმოდგენილია საკრებულოს მიერ, მას შეუძლიან დაეყრდნოს ამ დასკვნას და ამით იხელმძღვანელოს. თუმცა ეს იმისთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ მას ერთგვარი თავის გასამართლები საშუთი ექნება. მაგრამ ჩვენ სახელმწიფოს კონტროლიორის პიროვნებასაც რომ თავი დავანებოთ თითონ საქმის მხარე, რომ ავიღოთ, მე მგონი, რომ ამ მდგომარეობის შექმნა, ჯერჯერობით მაინც, ჩვენთვის ისე საჭირო არ არის, იმიტომ, რომ, როცა რომელიმე მოსამსახურის დათხოვნის საკითხია, საკრებულომ ამის შესახებ რაიმე დადგენილება, რომ

გამოიტანოს, ამისთვის საჭიროა რაიმე ფორმალურ მხარეზე დაყრდნობა, ხშირად შეიძლება, რომ ადამიანი ითხოვს მოსამსახურეს არა იმიტომ რომ ფორმალური საბუთი აქვს ხელში. ხშირათ ძალიან ძნელია ასეთი შეურყეველი საბუთზე დაყრდნობა. ეს ჩვენ ცხოვრებიდან ვიცით. საკრებულო ვერ იტყვის, რომ სწორედ ამ საბუთის ძალით ის დამნაშავეა, ან შეუფარებელია და დათხოვნილი უნდა იყოსო. მაგრამ ეს კი დაუმტკიცებლათ, ასე ვსთქვათ, რწმენით, ყოვლათ შეუძლებელი იქნება. და ამ რწმენით, საკრებულო, ოფიციალურად, ფორმალურად, დასკვნას ვერ მისცემს, ვერ მოაწერს ხელს, თუ დოკუმენტალური, ქაღალდზე დაწერილი საბუთი არა აქვს.

მართალია, სახელმწიფო კონტროლიორს ეძლევა უფლება არ იხელმძღვანელოს ამით და მაინც და მაინც დაითხოვოს, მაგრამ ეს შექმნის მეტს საჩივრის საბუთს.

რასაკვირველია, როგორც სახელმწიფოს კონტროლიორის ისე ყველას შესახებ ჩვენ სახელმწიფოში შეიძლება საჩივრის აღძრა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მეტს წერას და მეტ დავიდარაბას გამოიწვევს, და ნამდვილად კი არ არის ეს საჭიროებით გამოწვეული, პრინციპალურად, რომ იყოს დაყენებული საკითხი სახელმწიფო მოხელის გადაუყენებლობაზე მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ არც არავინ სავალდებულოთ ხდის ამას სახელმწიფო კონტროლიორისთვის.

და ჩვენის აზრით ეს სავალდებულო თუ გავხადეთ კონტროლიორისთვის დღეს დღემო, ვიდრე დაწესებულება არ არის კალაპოტში ჩაყენებულ, არ აქნება ხელსაყრელი, ვიმეორებ, ეს ერთად ერთი ნაწილი ვერაფერ ცვლილებას ვერ შეიტანს ამ ქამად იმ მხრივ, რომ რაიმე თვალსაჩინო შედეგი გამოძინარეობდეს აქედან. რასაკვირველია ყველა ადამიანი შეიძლება შესცდეს, ან შეიძლება ისე მოიქცეს, როგორც არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ სახელსწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი და მას აქვს პასუხის მგებლობა მის წინაშე, და პარლამენტს აქვს ყოველივე საშუალება, რომ ყოველი სახელმწიფო კონტროლიორი სწორეთ მოიქცეს და თუ კონტროლიორი არ მოიქცევა ისე როგორც საჭიროა მაშინ ის პასუხს აგებინებს თავის წინაშე.

გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ამ საკრებულოს, როცა საკითხი იქნება მოსამსახურეების შესახებ, ერთგვარი დამოკიდებულება ექნება სახელმწიფოს კონტროლიორთან. სახელმწიფო კონტროლიორი კი უფრო დამოუკიდებელი პიროვნება არის უწყებაში. მაშინ კი, როდესაც არის რამე დამოკიდებულება ბევრგვარ რამ გავლენას აქვს მნიშვნელობა. მე ვიცი გამოცდილებით და ყველა თქვენგანმა იცით გამოცდილებით, რომ ამ შემთხვევაში ერთგვარი გაუბედავობას ექნება ადგილი საკრებულოს წევრთა შორის. შეიძლება ზოგიერთი წევრი მზათ იყოს ყველა ცნობები მოგვცეს, მაგრამ პასუხის მგებლობას



ვერ გაბედავს; შესაძლებელია, რომ ესა, თუ ის წევრი საკრებულოსი, იყვეს მომხრე, ამა თუ იმ გადაწყვეტილების, მაგრამ ფორმალურად რომ მისცეს თავისი აზრი, — ვერ მოახერხებს.

მართალი მოგახსენოთ არავითარ საწინააღმდეგოს არ ვხედავ ამ შესწორებაში, მაგრამ მხოლოდ მე მგონია, რომ არსებითად ეს არაფერ ცვლილებას არ შეიტანს ისეთს, რომ საქმეს არგოს.

რაც შეეხება კონტროლის მოხელის გადაუყენებლობის პრინციპს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ პრინციპის განხორციელების დრო დადგება მაშინ, როდესაც ჩვენი დაწესებულება იდგამება მაღალ დონეზე. ჩვენ შეგვიძლიან ასეთივე პრინციპი განვახორციელოთ, როგორც არის სასამართლოს უწყებაში, მაგრამ ამისთვის ჯერ-ჯერობით დრო არ არის დამდგარი და გარემოებაც შესაფერისად არ არის შეცვლილი.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის მელიტონ რუსიას.

**მელიტონ რუსია.** (ს. დ.) სწორედ ის მოსაზრება, რომელიც აქ, თქვენ, წამოგიყენათ სახელმწიფო კონტროლიორმა აქარწყლებს ბატონ კელიას მოსაზრებას. ის მნიშვნელობა, ის ფუნქცია, რომელიც დავალებული აქვს ამ კანონ-პროექტით სახელმწიფო კონტროლს, უახლოვდება იმ ფუნქციებს, რომელსაც ასრულებს სასამართლო. და სწორედ ამ მოსაზრებით ვერობის კანონმდებლობა კონტროლის მოხელეებს, ერთგვარ გარანტიებს აძლევს. ეს არის გადაუყენებლობა, კონტროლის მოხელეებისა სწორედ ისე, როგორც სასამართლოს წევრების გადაუყენებლობა.

ჩვენც გვინდა ერთგვარი გარანტია შევქმნათ კონტროლის მოსახსურეთათვის, მაგრამ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ სწორედ ის მოსაზრება, რომელიც დღეს აქ სახელმწიფო კონტროლიორმა განაცხადა: საქმე იმაშია, რომ დღევანდელ გარდამავალ ხანაში, ასეთ სრულ გარანტიას ვერ მივცემთ მას, თუმცა ჩვენ გვწამს ის, რომ ეს გარანტია უნდა იყოს სახელმწიფო კონტროლის მოხელეებისათვის. ამიტომ ჩვენ ეს პატარა გარანტია მაინც საჭიროდ დავინახეთ. ჩვენ ვამბობთ, რომ საერთოდ საერთო — საკრებულოს უფლება დიდი არის და ამას დაინახავთ თქვენ შემდეგ მუხლებში. საერთო საკრებულოს დასკვნა არ შეიძლება შესცვალოს სახელმწიფოს კონტროლიორმა თავისუფლებით, თავის ნებით. მას შეუძლიან მხოლოდ ამით შევიდეს პარლამენტში, აი ასეთი დიდი უფლებით არის აღჭურვილი საერთო საკრებულო, მაგრამ ამ საკითხში ასეთი უფლება ჩვენ არ მივეცი საერთო საკრებულოს და ჩვენი შენიშვნა სწორედ ამას ამბობს, რომ იგი მხოლოდ დასკვნას წარუდგენს სახელმწიფო კონტროლიორს. კონტროლი ან დაეთანხმება ამ დასკვნას, ან არ დაეთანხმება და ამ დასკვნას, ამ დასკვნას, თუ მაგალითად რატომ ითხოვენ ამა, თუ იმ კაცს. და ეს დარჩება საქმეში. თუ თქვენ იტყვით, რომ სახელმწიფო კონტროლიორი ჩვენი არჩეულია და ნდობასა და უნდობლობაზე დააყე-

ნებთ საკითხს, ეს არ შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ დანარჩენ სახელმწიფოებში და ისეთივე მდგომარეობაა, მაგრამ იქ არის გარანტიები კონტროლის მოხელათა გადაუყენებლობისა, გადაყენება არ შეიძლება. ჩვენ გარდაშავალ ხანაში, ეს გადაუყენებლობა ჯერ ვერ მივანიქე, მაგრამ ცოტა რამ გარანტიები მაინც მივეცი. ჩვენ მეორე გამოსავალი ვერ ვნახეთ და ამიტომ მოვიტხოვთ, რომ ასეთი პატარა გარანტია მაინც დავაწესოთ მოხელეთათვის. ჩვენ მოვიტხოვთ, რომ სახელმწიფო კონტროლიორი ვალდებული იყოს მოიტხოვოს დასკვნა საკრებულოსი, თუბრა ეს დასკვნა და იმის შეწყნარება არ არის სავალდებულო სახელმწიფო კონტროლიორისთვის და მის ხელშე, როგორ იმოქმედებს

რა არეულობას შეიტანს ჩვენი შენიშვნის შეტანა სახელმწიფოს კონტროლიორის დაწესებულებაში-ჩვენ კედიამ ვერ აგვისხნა. მე არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ დღეს ისე იქნება, რომ სახელმწიფო კონტროლის ყველა მოხელეები ისეთივე იქნებიან, როგორც არიან სხვა სამინისტროს მოხელეები. რომელთა შესახებ ხვალ თუ ზეგ შეიძლება „საქართველოს რესპუბლიკაში“ იყოს გამოცხადებული, რომ გადაყენებული არის, ესა და ის პირი. ეს არ შეიძლება. შეიძლება, მაგალითად, ვსთქვათ, რომ სამინისტროს მოხელეები, რომელთაც მაინც და მაინც არაფერი ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც მწერლებს, გადაწერლებს და სხვებს, მათ გადაყენებას იმდენი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში სახელმწიფო კონტროლის მოხელეებმა გამოიჩინეს დიდი მოვალეობის აღსრულების უნარი, ხომარ შეიძლება, რომ მათ შესახებაც ასე მოვიქცეთ და რადგანაც დღეს, სხვა და სხვა მოსაზრების გამო, სრულგადაუყენებლობის პრინციპის გატარებაარ შეიძლება, ჩვენ ერთგვარი გარანტია მაინც უნდა შევქმნათ.

დღეს-დღეობით ისეთ გარდაშავალ ხანაში ვართ, რომ დღეს ერთს ვიხამთ, ხვალ კი იძულებულნი ვხდებით შევცვალოთ იგი მაგრამ, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩაღვება, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ავირიხოთ სხვა საშუალება, სხვა გზა.

**თავმჯდომარე.** მომხსენებელი.

**გრიგოლ რცხილაძე.** მე მგონია, რომ თუ რა პრაქტიკულ ნაყოფს მოიტანს ეს შესწორება, რომელიც აქ შემოტანილია მთლიანად დამოკიდებული არის საპირადო თვისებებზე: რა საპირადო ელემენტები იქნება წარმოდგენილი სახელმწიფოს კონტროლის სახით და რა საპირადო ელემენტები გვეყოლება ამ საერთო საკრებულოში,—ამაზე არის მთლიანად დამოკიდებული.

შესაძლებელი არის საერთო საკრებულო გადაიქცეს ყურმოჭრილ მონად სახელმწიფო კონტროლიორისა. რაკი სახელმწიფო კონტროლიორი წარადგენს დასათხოვნად რომელიმე პირს, შესაძლებელია ამათ, სწორეთ იიტომ, რომ ეს სახელმწიფო კონტროლიორმა წარმოადგი-

ნა, ყველამ თანხმობა გამოაცხადოს დათხოვნაზე. შესაძლებელია საწინააღმდეგო შემთხვევაც, ამიტომ პირად ხასიათზე არის დამოკიდებული, ასე რომ ასეთი ნორმის შეტანა თავის თავად არაფერს არ აწესებს ახალს და გამოურკვევლობას კი ჰქმნის, და თუ ეს დარჩა—ამ შენიშვნის შეტანით, ჩვენ ვიცით, რომ გადაწყენებული სამსახურიდან მოხელეებისა არის სახელმწიფო კონტროლიორი, ის პასუხისმგებელი არის. თუ ეს შესწორება იქნება მიღებული, რომელიც თქვენ შემოიტანეთ, ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება—ვინ არის საბოლოოთ გადაწყენებული სამსახურიდან? ფაქტიურათ მოხელეების გადაწყენებული არის სახელმწიფო კონტროლიორი და საკრებულო, ეს დამოკიდებულია იმ პირების პირად თვისებებზე, რომელნიც მოგროვილნი იქნებიან ამ დაწესებულებაში.

ეს ერთი.

შეორე, მე ვფიქრობ, რომ ამ ნორმის შეტანა მეტს არაფერს მიმატებს, გარდა, გამოურკვევლობის.

იმ ევროპის მაგალითს, რომელზედაც აქ მოგახსენეს, თავისი აზრი აქვს. იმ წყობილებაში, რომელიც არსებობს ევროპის სახელმწიფოს კონტროლის დაწესებულებაში, იქ სადაც პასუხის მგებლობა არის, ასეთი წესი, ასეთი ნორმა არის შემოღებული. იქ სახელმწიფოს კონტროლის მოხელენი განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან. სახელმწიფო კონტროლის პალატა, რომლის წევრი არ შეიძლება დათხოვნილი იყოს არავითარ შემთხვევაში, ეს წევრები მარტო მოსამართლენი არიან, მათ გამოაქვეთ დადგენილება, რომელსაც სასამართლოს დადგენილების მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ანგარიშების შესახებ, და ნარტო ამიტომ მათი დათხოვნა არ შეიძლება, მაგრამ ამათ გარდა, იმ პირების გარდა, რომელნიც ამ კრებულს შეადგენენ, რომელთაც დადგენილება უნდა გამოიტანონ, კონტროლის ორგანიზაცია კიდევ გულისხმობს მრავალ სხვა მოხელეებს და ამ მოხელეებს დათხოვნა არცერთ ევროპის კანონმდებლობაში არ არის აკრძალული, პირიქით, სადაც ამბობენ, რომ მოხელეების დათხოვნა არ შეიძლება, აღნიშნულია სწორეთ ეს მოხელეები, ის წევრები, რომელნიც შედიან საერთო საკრებულოში და არა სხვა და სხვა მოხელეები—ეს თავის თავად ცხადია.

მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხს, რომელიც ამ შესწორების ავტორებმა წამოაყენეს, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უნდა იყოს რაიმე ნორმა, რაიმე საზღვარი, რომ შეზღუდული იყოს უფროსი თავის მოხელეების დათხოვნაში. უნდა ჰქონდეთ მოხელეებს რაიმე გარანტია, რომ უსაბუთოდ, უკანონოთ დათხოვნილნი არ იქნებიან, საჭიროა და უნდა იყოს ისეთი ორგანო, ის თი დაწესებულება სადაც მოხელეების განკარგულებებს განიხილავენ და ამისთვის, მე ფიქრობ, საჭირო არის არა ამგვარი შესწორებების შეტანა, არამედ სრულიად ახალი დაწესებულების შექმნა. ეს საკითხი მე მგონია ჩვენ უნდა უფრო ფარ-



თოდ დავაყენოთ, არა მარტო მოხელეების შესახებ, არამედ ყველა განკარგულებების შესახებ.

არის მთელი რიგი ისეთი განკარგულებებისა, რომლის გამო არ შეიძლება მოხელეები მისცენ არც სისხლის სამართალში, არც წარუდგინონ სამოქალაქო საჩივარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმათი მოქმედება არ არის მოსაწონი.— ამისთანა განკარგულებების გასაბათილებლად საჭირო არის შექმნა საგანგებო ახალი დ წესებულებისა, ისეთის, რომ ერთის მხრით სასამართლოსაც ემსგავსებოდეს, მეორეს მხრივ საჭიროა, რომ საადმინისტრაციო ორგანიზაცია შერეულათ შესდგებოდეს. ამგვარ შერეულ ელემენტებისგან თავმოყრილი ადმინისტრატორები და მოსამართლეები განიხილავენ საკითხს არა წმინდა სასამართლოს თვალსაზრისით, არა წმინდა კანონიერების თვალსაზრისით, არამედ განკარგულების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

მე მგონია, რომ ასეთი შენიშვნა კი არაფერს შეუმატებს კანონს, მხოლოდ გამოურყვევლობას დაბადებს. საკითხი, რომელსაც შეეხება ეს შენიშვნა, უნდა შეადგენდეს პარლამენტის საზრუნავ საგანს და ცალკე, უფრო ფართოდ უნდა იყოს დასმული.

**თავმჯდომარე.** ნება მომეცით კენჭი ვუყარო ამ შენიშვნას. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე შენიშვნა შეტანილია შეათე მუხლში.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

11. სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორს დაეკისრება მახლობელი ხელმძღვანელობა სექციებისა მათ სარევიზიო მუშაობაში მათი საქმიანობის გაერთიანებულად მომართვა და სექციათა საკრებულოებში. თავმჯდომარეობა მისისავე მეთვალყურეობით უნდა გარდაეცეს განსახილველად საქმეები საერთო და კერძო საკრებულოებს და იგივეა მეთვალყურე კანცლარიის საქმეთა წარმოებისა, მათ შორის სახელმწიფო კონტროლის საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვისა და საერთო სარევიზიო მოხსენების (მუხ. მე-5) შედგენისა, რომელიც საკანონმდებლო დაწესებულებას უნდა წარედგინოს, და ყველა სხვა საქმისა, რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორი მიანდობს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

12. სექციათა გამგენი, რომელნიც არიან მახლობელნი მმართველნი სექციებისა, თვალყურს ადევნებენ საქმეთა წარმოების მსვლელობას განყოფილებებში და ამოწმებენ რევიზიის წესიერად წარმოებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

13. უფროსი რევიზორები, — რევიზორებისა, რევიზიის თანაშემწეებისა და მოანგარიშე მოხელეთა დახმარებით, — აწარმოებენ რევი-





ზიას. ამათსავე მოვალეობას შეადგენს განყოფილებათა მოხსენებისა და ანგარიშების შედგენა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

14. უფლებანი და მოვალეობანი რევიზორებისა, რევიზორის თანაშემწეებისა და სხვა სახელმწიფო კონტროლის სამსახურში მყოფ პირთა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტრუქციით განისაზღვრება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):


15 სახელმწიფო კონტროლის მოხელენი შეიძლება პასუხის-გებაში იქმნენ მიცემული მხოლოდ სახელმწიფო კონტროლიორის საშუალებით. ამის გამო აღმასრულებელ ხელმწიფების დაწესებულებათა და პირთ არ შეუძლიანთ თავისით რაიმე განკარგულება მოახდინონ სახელმწიფო კონტროლის მოხელთა შესახებ; ხოლო თუ რაიმე ბოროტმოქმედება შეამჩნიეს იმ პირთ, რომელნიც კონტროლის უწყებას ეკუთვნიან, ეს ამბავი სახელმწიფო კონტროლიორს უნდა აცნობონ.

**თავმჯდომარე.** ნება მომეცით ამ 15-ტე მუხლზე მოგახსენოთ შემდეგი. ამ მუხლში შენიშვნა არის შეტანილი, მაგრამ ავტორი არ აწერს ხელს.

(კითხულობს) ნაცვლად სიტყვისა იმ პირთ აღინიშნოს: ამ მოხელეთ მეორე-ამოიშალოს სიტყვები: რომელიც კონტროლიორის უწყებას ეკუთვნიან. ეს ორი შესწორება გახლავს, მაგრამ ეს შესწორებები უფრო სარედაქციო ხასიათისაა.

**მელიტონ რუსია.** (სოც. დემ.) ეს შესწორება არ არის სარედაქციო. საქმე შემდეგშია. მუხლი 15 ამბობს, თუ, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს სახელმწიფო კონტროლის მოხელეებმა ამის გამო აღმასრულებელ სახელმწიფოს დაწესებულებათა და პირთ არ შეუძლიანთ თავისით, რაიმე განკარგულება მოახდინონ სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა შესახებ.

ეს საჭირო არის, მაგრამ როდესაც მეორე ნაწილი ამ 15 მუხლისა ამბობს, რომ, თუ რაიმე ბოროტმოქმედება შეამჩნიეს იმ პირთ, რომელიც კონტროლის უწყებას ეკუთვნიან ეს ამბავი სახელმწიფო კონტროლს უნდა აცნობონ — მაშინ გამოდის, რომ ასევე უნდა მოქმედონ, თუ ბოროტმოქმედება შეამჩნიეს უბრალო, დაბალ მოხელეებს, კურიერებს, რომელნიც არ ეკუთვნიან სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს. 15 მუხლით სახელმწიფოს კონტროლის მოხელეებად ითვლებიან უფროსი რევიზორები, რევიზორის თანაშემწე და გამგე, გამოდის მაშინ, რომ, თუ ბოროტმოქმედება ჩაიდინა შიკრიკმა, დარაჯმა ან და შევროვემ და კიდევ თუ სახელმწიფო კონტროლიორის ნება არ არის, სასამართლომ, რომ გამოძიება დაიწყოს ამის უფლება არა აქვს ჩვენ ამისთანა გარა-





რტიას ვაძლევეთ მხოლოდ მოხელეებს, იმიტომ, რომ გვეშინიან აღმინისტრაციამ ბოროტათ არ გამოიყვანოს ეს უფლება, თუ მას არ მოეწონა მოქმედება, რევიზიის დროს დაატუსაღოს, ან სხვა რამ ჩაიდინოს, — და ასეთი გარანტია არ არის საჭირო დაბალ მოხელეებისათვის, ვინაიდან არავითარ რევიზიას არ შერებიან ისინი. და სწორეთ ეს აზრია ჩვენი შესწორებისა. გარანტია იყოს მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის მოხელეებისათვის და არა იმ პირთათვის, რომელნიც არ არიან სახელმწიფო კონტროლის მოხელეებად არამედ ეკუთვნიან სახელმწიფო კონტროლიორის უწყებას.

**თავმჯდომარე.** მაშასადამე აქ არის შესწორება: ამოიშალოს სიტყვები იმ პირთ და (ხმა: ეს ზედმეტია!) მათ მაგიერ ჩაწეროს ამ მოხელეთ. ვის ჰსურს სიტყვა? სიტყვა არვის ჰსურს. მომხსენებელი.

**გრ. რცხილაძე.** მე ამ შესწორებისა არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

**თავმჯდომარე.** მეორე შესწორება ამგვარად გახლავთ: ამოიშალოს სიტყვები:

„რომელნიც სახელმწიფოს კონტროლის უწყებას ეკუთვნიან“. ეს ამოიშალოს. კენჭს უყ ი. ვინ არის წინააღმდეგი, მიღებულია, ვუყრი კენჭს 15 მუხლს. მიღებულია.

**ბრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

16. საქმენი კონტროლის უწყების მოხელეთა მიერ სამსახურში დანაშაულისა და ბოროტ-მოქმედების ჩადენის შესახებ ბრალმდებელს უნდა გადაეცეს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს (მე-17 მუხ.) დადგენილებით.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

**განყოფილება მესამე: სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოსათვის.**

17. სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობაში სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით სდგება საერთო საკრებულო, რომელშიაც შედიან: სახელმწიფო კონტროლიორის აშხანაგი, საქმეთა დირექტორი და სექციათა გამგენი.

**შენიშვნა:** უფროსი რევიზორები მონაწილეობას იღებენ საერთო საკრებულოს სხდომებში როგორც მომხსენებელი, სათათბირო ხმის უფლებით (მე-13 მუხ.).

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

18. საერთო საკრებულოს უფლება აქვს თავისს სხდომებზედ მიწვიოს სამინისტროებისა და კერძო მკოდნე პირნი იმ საქმეთა და სა-



განთა გასარკვევად, რომეოთაც რაიმე ტექნიკური ან განსაკუთრებული სპეციალი ხასიათი აქვთ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

19. თუ სახელმწიფო კონტროლიორს, ავადმყოფობისა ან სხვაგან ყოფნის გამო, ანუ რაიმე სხვა მიზეზით, არ შეუძლიან საკრებულოში თავმჯდომარეობა, თავმჯდომარის მოვალეობას კისრულობს სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი.

**თავმჯდ. მარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

20. საერთო საკრებულოს გარდა, შეიძლება დაწესებულ იქნას, საერთო საკრებულოს უფლებით, თითოეულის სექციის კერძო საკრებულონი საქმეთა დირექტორის თავმჯდომარეობით, ამ კერძო საკრებულოთა წევრებად ითვლებიან სექციის გამგენი და უფროსი რევიზორები, ხმის უფლებით, თუ ისინი გასარჩევ საქმის მომხსენებელნი არ არიან (შენიშ. მე-17 მუხ.). ასეთნი საკრებულონი მოწვეულ იქნებიან მკირე-მნიშვნელოვან საქმეთა განსახილველად, სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულების თანახმად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

21. საერთო საკრებულოს უფლებანი და მოვალეობანი რევიზიის წესდებით განისაზღვრება. გარდა იმისა, საერთო საკრებულოს უფლება აქვს: ა) გააუქმოს ის დაკისრებული ანგარიშის, დანაკლისი, რა ჯამისაც უნდა იყოს იგი, რომლის ძიება ზისპობა ხანგრძლივობის კანონთა ძალით; ბ) განმარტოს, მოქმედ კანონთა საფუძვლათ, ყოველი სარევიზიო საკითხი, წარმომდგარი იმ სიძნელის გამო, რომელიც აღმოჩნდება კერძო შემთხვევებში ანგარიშთა რევიზიის დადგენილ წესრიგის ხმარების დროს; გ) განიხილოს მოსაზრებანი ახალ კანონთა გამოცემისა ანუ არსებულთა შეცვლისა და დამატებისათვის, როგორც საანგარიშო ნაწილში, ისე რევიზიის მიერ შემჩნეულ სხვა შემთხვევათა შესახებ; დ) სახელმწიფო კონტროლიორის წინადადებით განსაჯოს ყოველგვარი საქმე, რომლის გამოც კონტროლის დასკვნაა საჭირო, ანუ რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორი დაინახავს საჭიროდ გარდასცეს საერთო საკრებულოს მისდა გასაბჭობადა და გადასაწყვეტად; ე) განიხილოს რევიზიის დროს აღძრული ცალკე საკითხები, რომელთათვისაც საჭიროა განსაკუთრებული გარდაწყვეტილება ანუ განკარგულება, და აგრეთვე მოსაზრებანი იმ სამეურნეო ოპერაციათა შეცვლის შესახებ, რომელნიც საზარალო აღმოჩნდა, თუ ამა ცვლილებათა შემოღებით კეთილი შედეგია მოსალოდნელი მიმავალ სამეურნეო მოქმედებისათვის, და ვ) განსაჯოს სახელმწიფო კონტროლის საერთო სარევიზიო მოხსენება,



ვიდრე იგი საკანონმდებლო დაწესებულებას წარედგინება (მუხ. მე-5).

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

22. სახელმწიფო კონტროლიორი ვერავითარს შემთხვევაში ვერ შესცვლის საკუთარს უფლებით საერთო საკრებულოს დასკვნასა და გარდაწყვეტილებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

23. თუ შენიშნული შეცდომანი, საქმეთა მიმდინარეობის დაყოვნება და უწყსირიგობა კონტროლის სექციათა უმოქმედობის ბრალია, ამით ნაზინას ზარალი სდევს და არსებითად საჭიროა, რომ შეიცვალოს დადგენილი წესი საქმეთა წარმოების და მიმდინარეობისა და ანგარიშთა რევიზიისა, ანუ, თუ დანაშაულის მიხედვით, დამნაშავენი სამართალში უნდა იქნნენ მიცემულნი, — ყოველ ასეთ შემთხვევას სახელმწიფო კონტროლიორი გადასცემს საერთო საკრებულოს მისდა განსახილველად და დასასკვნელად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი. მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

24. სახელმწიფო კონტროლიორის მიერ საერთო საკრებულოს განსახილველად გარდაცემული საგანი, თუ იგი სახელმწიფო კონტროლის საქმეებში არ მოიპოვება, ისე დაწვრილებით უნდა იყოს გამოთქმული სახელმწიფო კონტროლიორის წერილობითს წინადადებაში, რომ ნათლადა სჩანდეს მნიშვნელობა შენიშნულ შემთხვევისა, ამისათვის საჭირო განმარტებანი დაწესებულებათა და პირთა და თვით მიზანი წინადადებისა. ისეთი საგნები-კი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის საქმეებში მოიპოვება, საკრებულოს განსახილველათ უასეთ-წინადადებოდ გარდაეცემა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

25. სახელმწიფო კონტროლიორი თავის წინადადებაში საკრებულოს მიმართ საკუთარს აზრს არ გამოსთქვამს; თავის აზრს იგი გამოსთქვამს, როგორც თავმჯდომარე, სიტყვიერად საქმის განხილვის დროს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

26. საკრებულოს სხდომაზედ ზოგიერთ წევრთა დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს საქმეთა მსვლელობას და გარდაწყვეტილებანი უნდა დადგენილ იქნას სხდომაზედ დამსწრე წევრთა მიერ, რომელთა რიცხვი კანონიერ სხდომის შესადგენად, თავმჯდომარეს გარდა, სამზედ ნაკლები არ უნდა იყოს.



**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**პრ. რცხილაძე** (კითხულობს):

27. საკრებულოს ყოველ წევრს უფლება ეძლევა წინასწარ განიხილოს მოსასმენად მომზადებული საქმეები, რომელთა განხილვასაც, საკრებულოში საბოლოოდ განბჭობამდე, იგი საჭიროდ მიიჩნევს, ხოლო ამ განხილვამ არ უნდა დააყოვნოს ის დრო, რომელიც სახელმწიფო კონტროლიორის მიერ არის დანიშნული იმ საქმეთა საკრებულოში მოსასმენად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**პრ. რცხილაძე** (კითხულობს):

28. საერთო საკრებულოში საქმენი ხმის უმეტესობით უნდა გადასწყდეს. თუ ხმათა რიცხვი თანაბარია, იმ ნაწილის აზრი უნდა იყოს მიღებულად მიჩნეული, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**პრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

29. თუ რომელიმე წევრთაგანმა, მოისმენს რა საქმეს, მოისურვა, მის მიერ გამოთქმულ სიტყვიერ დასკვნის გარდა, უფრო დაწვრილებით განმარტოს თავისი შეხედულება ცალკე აზრით, — ამისი უფლება აქვს, მხოლოდ თავისი ცალკე აზრი ვალდებულია წარადგინოს არა უგვიანეს საკრებულოს შემდეგი პირველი სხდომისა.

**შენიშვნა:** იმ საქმეებთან ერთად, რომელთა გარდაწყვეტა საერთო საკრებულოს უფლებას აღემატება და რომელნიც, თვისებისა კვალობაზედ, ჯეროვანს დაწესებულებას უნდა წარედგინოს საკრებულოს დასკვნითურთ მისდა განსახილველად და გარდასაწყვეტად, წევრთა მიერ შეტანილი ცალკე აზრიც უნდა გაიგზავნოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**პრ. რცხილაძე** (კითხულობს).

30. იმ შემთხვევაში, თუ საქმე არც ერთხმად იქმნა გარდაწყვეტილი, არც ხმათა უმეტესობა შესდგა, იგი უნდა გარდაეცეს საკანონმდებლო დაწესებულებას, თუნდა განსახილველი საგანი საერთო საკრებულოს უფლება-მოსილობას არ აღემატებოდეს, ასეთსავე შემთხვევაში კერძო საკრებულოს საქმე საერთო საკრებულოს უნდა გარდაეცეს.

**შენიშვნა:** სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს საქმე საკანონმდებლო დაწესებულებაში გადაიტანოს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მარტო ის არ ეთანხმება საერთო საკრებულოს დასკვნა — გარდაწყვეტილებას.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**პრ. რცხილაძე** (კითხულობს).

31. სახელმწიფო კონტროლიორს კუთვნილებსამებრ საკანონმდებლო დაწესებულებაში შეაქვს სახელმწიფო კონტროლის საერთო



საკრებულოს ის დასკვნანი, რომელთა აღსრულებაში მოყვანა არ შეიძლება მისის საკუთარს უფლებით, აგრეთვე იმ საქმეთა შესახებ, რომელთა გარდაწყვეტა უმაღლესს დაწესებულებას ექვემდებარება, როგორც, მაგალითად, საქმენი კანონის განმარტებისა და დადასტურებისა, საფინანსო-სამეურნეო ნაწილისა, ანგარიშისა და ანგარიშის-წარმოების არსებულ კანონთა შეცვლისა და შევსებისა, ხაზინის ხარჯზედ ზარალის მიღებისა. რაცა იგი აღმატება იმ ჯამს, რომლის დამტკიცება კონტროლის შეუძლიან, და სხვა ამგვარები.

**თავმჯდომარე ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? მიღებულია.**

**გ. რცხილაძე (კითხულობს).**

**განყოფილება მეოთხე: სახელმწიფო კონტროლის კანცელარიისათვის.**

მ2. სახელმწიფო კონტროლის კანცელარიას შეადგენს: მდივანი, უფროსის საქმის—მწარმოებელი, საქმის—მწარმოებელი, გადამწერი, რეგისტრატურა და არხივი, კანცელარიას მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი.

**თავმჯდომარე ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.**

**გ. რცხილაძე (კითხულობს).**

მ3 სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის წარმოებაში: ა) სახელმწიფო კონტროლის მართავამეგობის შესახებ ყველა საქმე და განკარგულება; ბ) სახელმწიფო კონტროლის საერთო და კერძო საკრებულოთა საქმის-წარმოება; გ) სახელმწიფო კონტროლის საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა; დ) სახელმწიფო კონტროლისათვის გადადებულ კრედიტების მართვა; ე) საქმენი სახელმწიფო კონტროლიორის მეთვალყურეობისა ყველა სექციის სარევიზიო საქმეთა მიმდინარეობის შესახებ და ამაზედ დრო-გამოშვებით მოხსენებათა წარდგენა სახელმწიფო კონტროლიორისათვის და ვ) სახელმწიფო კონტროლის წლიურ საერთო მოხსენების შედგენა მე-ნ მუხ.)

**თავმჯდომარე ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი მაშასადამე მიღებულია.**

**გ. რცხილაძე (კითხულობს).**

მ4. სახელმწიფო კონტროლის არხივის წარშართვა განსაკუთრებულ ინსტრუქციის თანახმად სწარმოებს. კონტროლის მიერ გასინჯულ-შემოწმებული ანგარიშები და სახელმწიფო კონტროლის საქმეები უნდა დატულ და გაუქმებულ იქმნას ამასთანავე დართულ წასვლის თანახმად (I—III).

**თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? მიღებულია. შემდეგი.**

**გრ. რცხილაძე. (კითხულობს).**



დამატება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საბანთა დებულების მე-3-ე მუხლისა.

1. წესება სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვისა და გაუქმებასათვის.

**ანგარიშთა დაცვის ვადა.**

1. სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებული ანგარიშები სამ ხარისხად ნაწილდება. პირველ ხარისხის ანგარიში სამუდამოდ უნდა იყოს დაცული, მეორე ხარისხისა — ვადადღე უნდა ინახებოდეს და მესამისა — უნდა გაუქმდეს, როდესაც საჭირო აღარ იქნება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინაღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

2. სახელმწიფო კონტროლიორი დაადგენს, ჯეროვან მინისტრებთან შეთანხმებით, კერძოდ რა სახის ანგარიში და ან რომელი მისი ნაწილი მოხსენებულ ხარისხთა შორის რომელს უნდა მიეკუთვნოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

3. არსებითი ნიშნები ანგარიშების ხარისხებად დანაწილებისა შემდეგია: 1) სამუდამოდ უნდა იყოს დაცული, თუ საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, და აგრეთვე თუ მეცნიერებისათვის გამოსაყენებელია; 2) ვადადღე შენახული უნდა იყოს, თუ მნიშვნელობა აქვს სარევიზიო ხანგრძლივობისათვის და გამოდგება ცნობებისათვის; 3) გაუქმებულ უნდა იქმნეს, თუ არაფრისათვის აღარ არის საჭირო, ვინაიდან ის მიზანი, რომელსაც იგი ემსახურებოდა, უკვე მიღწეულია.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

4. დაასრულებს რა ანგარიშების რევიზიას, სავრთო საკრებულომ სახელმწიფო კონტროლიორის ჯეროვან უწყებებთან შეთანხმებით უნდა იხელმძღვანელოს (მე-2 მუხ. ამ დამატ.) და გარდასწყვიტოს, აღნიშნულ ხარისხთა შორის რომელს მიეკუთვნება რევიზია — დასრულებული ანგარიში და ამის კვალობაზედ უნდა იქმნეს შემდეგში ის ანგარიში დაცული ან გაუქმებული.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

5. ყველა რევიზია — შეუმოწმებელი და მესამე ხარისხის რევიზია — დასრულებული ანგარიშები მათს გაუქმებამდე იმ პირობითა გამგებლობაშია, რომელთაც რევიზიის წარმოება აქვთ მინდობილი, ხოლო



რევიზია დასრულებული პირველ და მეორე ხარისხის ანგარიშები-კი არხივში უნდა იქმნეს გადაცემული დასაცავად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია  
**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

6. მეორე ხარისხის რევიზია — დასრულებულ ანგარიშების დასაცავად, სადაც-კი უნდა ინახებოდეს იგი ათის წლის ვადა დადგენილი.

სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილებით ამ ვადის გახანგრძლივება შეიძლება რომელისამე ცალკე სახის ანგარიშისა, განა მისის ნაწილისათვის, აუ რევიზიისათვის ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

7. მეორე ხარისხის ანგარიშთა დაცვის ვადის აღრიცხვა იწყება იმ დროდან, როდესაც კონტროლის საერთო საკრებულო რევიზიას დასრულებს.

**თავმჯდომარე** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

**ანგარიშებიდან ცნობების მიცემა სახელმწიფო კონტროლის მიერ.**

8. სახელმწიფო კონტროლი იძლევა ცნობებს მის განკარგულებაში მყოფ ანგარიშებიდან, როგორც რევიზია-დასრულებულიდან, ისე რევიზიით შეუმოწმებელიდან, და ასლებს ანგარიშებისა და საბუთის ქაღალდებისას, აგრეთვე ნებას რთავს ამ ანგარიშებისა და საბუთებიდან პირადად ცნობების ამოღებისათვის, შემდეგის წესების დაცვით: 1) მიღება ცნობებისა ისეთ ანგარიშებიდან, რომელიც საიდუმლოებას შეადგენს, შეუძლიან წერილობითი მოთხოვნით იმ დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც იგი ანგარიშები წარუდგენიათ სარევიზიოდ, ანუ ამ დაწესებულებათა და პირთა უფროსებს; 2) იმ ანგარიშთა შესახებ, რომელიც საიდუმლოს არ შეიცავს, ცნობები ეძლევა, წერილობითის და პირადის მოთხოვნისამებრ, მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთ; 3) ტფილისში მყოფნი მთავრობის დაწესებულებანი და მოხელენი ისეთ ანგარიშებში მოქცეულ ცნობათა მისაღებად, რომელიც საიდუმლოს არას შეიცავს, კონტროლს მიჰმართვენ პირადად, საგანგებოდ ამისათვის გაგზავნილ მოხელეთა საშუალებით, და მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, როდესაც ამ გზით საჭირო ცნობათა მიღება შეუძლებელია, კონტროლს წერილებით მიჰმართვენ; 4) იმ სიგელების ასლის მიღება, რომელიც ნოტარიულ ანგარიშებშია, მოქცეული, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს დაწესებულებისაგან ამის ნება-რთვაა წინასწარ აღებული, და მაშინაც თვით ასლი კონტროლის მიერ პირდაპირ სასამართლო დაწესებულებას გაეგზავნება მისდა განსაკარგულებლად; 5) არავის არა აქვს





უფლება მოსთხოვოს სახელმწიფო კონტროლის ცნობათა სახით ისეთი რთული ამონაწერები და სტატისტიკურ ცნობათა თავმოყრილობა, რომლის შედგენას კონტროლის მხრივ განსაკუთრებული დამოუკიდებელი შრომა დასჭირდება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? მაშასადამე მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

### სახელმწიფო კონტროლიდან ანგარიშების დაბრუნება.

9. რევიზიით შეუძომწმებელი ანგარიშები სახელმწიფო კონტროლიდან შეიძლება მიეცეს მხოლოდ მისის საკრებულოს დადგენილებით შემდგენს საქიროებისათვის: 1) სასამართლოს დაწესებულებათ—გამოძიების საწარმოებლად ან სასამართლოში საქმის გარჩევისათვის; 2) ანგარიშის წარმდგენ დაწესებულებათა და მოხელეთა უფროსებს—ამ დაწესებულებათა და მოხელეთა მოქმედების შესამოწმებლად აღმინისტრატულის წესით; 3) დანარჩენ მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთ—იმ ანგარიშებისა და საბუთის ქალაქების თავის მხრივ ჯეროვან დაწესებულებაში წარსადგენად ხაზინის ქონებრივ უფლების დასაბუთებლად. მომხარების შემდეგ კონტროლიდან ყოველივე მოთხოვნილი ანგარიშები და საბუთის ქალაქები უკანვე უნდა იქმნეს დაბრუნებული.

**შენიშვნა:** ამ (მე-9) მუხლის წეს-რიგს არ ექვემდებარება მხოლოდ ფოსტის ანგარიში, რომლის განხილვა გარეშე დაწესებულებათა და პირთ შეუძლიანთ მხოლოდ საფოსტო დაწესებულებათა საშუალებით.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

10. რევიზია-დასრულებული ანგარიშები პირველის ხარისხისა შეიძლება გარდაეცეს მთავრობისა დამამეცნიერო დაწესებულებათ დროებით მოსახმარებლად, ან მუდმივ დასაცავად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ნებას დართავს სახელმწიფო კონტროლიორი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

11. რევიზია-დასრულებული ანგარიშები მეორე ხარისხისა შეიძლება დაუბრუნდეს მის წარმდგენელ დაწესებულებათ დროებით მოსახმარებლად ან შემდგომ დასაცავად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

12. ანგარიშების გარდაცემის დროს კონტროლი თავის განკარგულებაში იტოვებს იმ ანგარიშის ბარათებსა და ყოველგვარ საბუთის

ქალაქებს, რომელსაც მნიშვნელობა ექნება შემდგომის დროის ანგარიშების განხილვისათვის.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

**გამოუყენებელ ანგარიშების გაუქმება.**

13. ყოველ წლის დამლევს იმ პირობით, რომელიც იცავენ რევიზიონისტულად ანგარიშებს, მცირე აღწერა უნდა შეადგინონ გასაუქმებელ ანგარიშებისა და საერთო საკრებულოს წარუდგინონ იგი განსახილველად და დასკვნის დასადგენად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

14. საერთო საკრებულო, დარწმუნდება რა ამ აღწერთა განხილვისათვის, რომ აღწერაში აღნიშნულ ანგარიშებს მართლაც აღარაფართარი მნიშვნელობა არა აქვს, და რომ იმათის შენახვის ვადა გასულია ნებას აძლევს მათის გაუქმებისას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

15. სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა გადაწყვიტოს, რა საშუალებით გაუქმდეს ანგარიშები გაყიდვით თუ დაწვით. ის ანგარიშები, რომელიც საიდუმლოებას მოითხოვს, უსათუოდ უნდა დაიწვას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

16. ვიდრე გაიყიდებოდეს ანგარიშები, ისეთ მდგომარეობაში უნდა იქმნეს მოყვანილი და ისეთი სახე უნდა მიეცეს, რომ ანგარიშის ხასიათი და მნიშვნელობა დაეკარგოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

17. საქალაქე მასალი, რომელიც გასაუქმებელ ანგარიშებიდგან შესდგება, უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით ან მყიდველებთან კერძო მორიგებით.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

18. საჯარო ვაჭრობას და საზოგადოდ ფასს, რა ფასადაც განზრახულია გაუქმებულ ანგარიშების საქალაქე მასალის გაყიდვა, რა ჯამისაც უნდა იყოს იგი, სახელმწიფო კონტროლიორი ამტკიცებს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

19. ამა დამატების წინა 13—18 მუხლებში აღნიშნულ წეს-რიგის

შესაფერად უნდა გაუქმონ ანგარიშები იმ განმკარგულებელ უწყებათა დაწესებულებმა, რომელთაც სახელმწიფო კონტროლიდგან ანგარიშები აქვთ გადაცემული ვადით დასაცავად (მუხ. 11).

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

20. სახელმწიფო კონტროლიორი დაადგენს ამ წესების აღსრულებისათვის საკირო რიგსა და ფორპებს, აგრეთვე ნიშნებსა ანუ საშუალებას, რომლითაც გასაუქმებელი ანგარიშები ისეთს მდგომარეობაში იქმნება მოყვანილია, რომ თავისი თვისებითი მნიშვნელობა დაეკარგება, და იგივე გარდასწყვეტს, ჯეროვან უწყებასთან შეთანხმებით, თუ ეს საკირო შეიქმნა, ყოველ გვარს გაუფებრობას, რომელიც შესაძლოა ამ წესების აღსრულების დროს აღიძრას.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

11. წესები სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და გაუქმების.

1. სახელმწიფო კონტროლის საქმეები განიყოფება: 1) თავისის შინაარსით — სარევიზიო და საადმინისტრაციო საქმეებად და 2) დაცვის ვადის მხრივ — ორ ხარისხად.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** კითხულობს.

2. სარევიზიო ეწოდება ისეთ საქმეებს, რომელთაც პირდაპირი ანუ გაკვრითი დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო კონტროლის მიერ შესამოწმებელ ანგარიშებთან. ყველა დანარჩენი საქმეები-კი საადმინისტრაციო საქმეებად ითვლება.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

3. დაცვის ვადის მხრივ ხარისხობრივი განაწილება საქმეთა ნაჩევიზია ნუსხაში (მე-III დამატ.); ის საქმეები, რომელიც ამ ნუსხაში არ არის აღნიშნული, ხსენებულ ნუსხის შესაფერისად უნდა განაწილდეს.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

4. პირველ ხარისხის დასრულებული საქმეები როგორც სარევიზიო, ისე ადმინისტრატიული სამუდამოდ უნდა იყოს დაცული.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გვ. რცხილაძე** (კითხულობს):

5. მეორე ხარისხის დასრულებული საქმეები ვადით უნდა ინახებოდეს, სახელდობრ: 1) სარევიზიო საქმეები — ამ ხნის განმავლობაში, რომელიც დანიშნულია ანგარიშის დასაცავად რევიზიის დამამთავრებელ საერთო საკრებულოს მიერ, და ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ



ათის წლის მათის დასრულების დღიდან; 2) ადმინისტრაციული საქმე-  
ები—ორის ვადის განმავლობაში: ა) ათის წლის ან ბ) ხუთის წლის  
დამლევამდე დასრულების დღიდან.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღე-  
ბულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

6. დასრულებული საქმეები უნდა ინახებოდეს სამს წელიწადს არა  
უმეტეს ხანს დღიდან დასრულებისა იმ პირთა გამგებლობაში, რომელ-  
ნიც სათანადო საქმეთ-წარმოებას განაგებენ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო  
კონტროლის არხში იმ დრომდე, ვიდრე გაუქმების ვადა დადგებოდეს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

7. დასრულებულივე საქმეები უნდა გაუქმდეს, როდესაც გამოსა-  
ყენებელი აღარ იქნება და დასაცავად დანიშნული ვადა გაუვა; ხოლო  
რაც შეეხება ამ საქმეთა გაუქმების წესსა და საშუალებას, უნდა ხმა-  
რებულ იქნას სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებული ანგარიშ-  
თა დაცვისა და გაუქმების წესების 13—19 მუხლებში აღნიშნული პი-  
რობანი.

**თავმჯდომარე.** ვინ ირის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

III. სასჯელმწიფო კონტროლის საქმეთა ხარისხობრივად განაწილების ნუსხა.  
**ხარისხი პირველი: სამუდამოდ დასაცავი საქმეები და ქალაქდები:**

1. საკანონმდებლო დაწესებულების განკარგულებანი, რომელიც  
გამოცხადებულია სახელმწიფო კონტროლისათვის.

2. იმავე დაწესებულების მიერ დამტკიცებულნი მოხსენებანი სა-  
ხელმწიფო კონტროლიორისა;

3. საკანონმდებლო დაწესებულების განსახილველად წარდგენილი

4. პირველ ხარისხის ანგარიშთა რევიზიისა და რევიზიის დასკვნის  
გამო შემდგარი საქმეები და სარევიზიო სიები პირველ ხარისხის ანგა-  
რიშთა შემოწმებისა.

5. საქმეები, რომელიც შეიცავს ხაზინის ანგარიშებს კერძო რკი-  
ნის გზებთან, უცხო ქვეყნის მთავრობასთან, საზღვარ-გარეთის ბანკებ-  
თანა და საკრედიტო დაწესებულებებთან.

6. სახელმწიფო კონტროლიორის ჟურნალები.

7. სახელმწიფო კონტროლის საერთო და კერძო საკრებულოთა  
ჟურნალები.

8. საქმეები, რომელიც შეეხება კასისა, ანგარიშისა და სარევიზიო  
ნაწილების ახალ დებულებათა შემუშავებასა; საკანონმდებლო დაწესე-  
ბულებაში წარდგენასა და გამოცემას და აგრეთვე სახელმწიფო მმართ-  
ველობის ყოველ დარგისათვის არსებულ ფორმებისა და დადგენილებათა  
განმერთებას, შევსებას, შეცვლასა და გაუქმებას.



9. საქმეები ანგარიშის-დანაკლისთა და წარმომდგარ პრეტენზიებისა ხაზინისა და ხაზინის მიმართ, რომელთა, გამოც მინისტრთა და სახელმწიფო კონტროლის შორის აზრთა სხვა და სხვაობას უჩენია თავი.

10. ანგარიშის—დანაკლისთა დაეთრები.

11. სახელმწიფო კონტროლის მოხსენებათა დედანი.

12. სახელმწიფო კონტროლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დედანი და საერთოდ ყველა სამინისტროებისა და მთავარ-მმართველობა ხარჯთ-აღრიცხვანი.

13. სახელმწიფო კონტროლიორის ცირკულიარები.

14. სახელმწიფო კონტროლისა და მისის შტატების შეცვლის საქმეები და აგრეთვე იმის შესახებ ფულის გადიდებისა ანუ შემცირების შესახები საქმეები.

15. სახელმწიფო კონტროლის უწყების სამსახურში მყოფ და შტატს ზედმეტად დაქირავებულ მოხელეთა ნამსახურობის საქმეები.

16. სახელმწიფო კონტროლის შემოსულ და გასულ ქალაქების

17. გაუქმებულ საქმეთა და ანგარიშების აღწერანი.

18. სახელმწიფო კონტროლის ს ხაზინო მოწყობილების სიები.

19. სახელმწიფო კონტროლის მიერ საფინანსო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მესამე თავის წინააღმდეგი მთლიანად არაფინ. მაშასადამე მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს),

**ხარისხი მეორე: ვადით დასაცავი საქმეები.**

ა) ათის წლის განმავლობაში დასრულების დღიდან:

1. მეორე ხარისხის ანგარიშთა რევიზიისა და რევიზიის დასკვნის გამო შემდგარი საქმეები. მეორე ხარისხის ანგარიშთა შემოწმების სარევიზიო სიები.

**შენიშვნა:** თუ ის ანგარიში, რომლის შემოწმებისა გამო შედგარია საქმე და წარმოებულა სარევიზიო სიები, ათს წელიწადზედ უფრო ხანგრძლივ შესანახია, მაშინ საქმეც და სარევიზიო სიებიც ანგარიშის გაუქმების დრომდე უნდა იყოს დაცული.

2. კონტროლის საკრებულოთა განსახილველად წარდგენილი საქმეები.

3. საქმეები შესახებ შეწერილ ანგარიშის—დანაკლისთა და საურათთა, რომელთა გამოც პროტესტი არის ან არ არის განცხადებული.

4. საქმეები ხაზინის მიერ და ხაზინის მიმართ წარმოებულ პრეტენზიებისა, რომელთა გამოც მინისტრებსა და სახელმწიფო კონტროლის შორის აზრთა სხვა-და-სხვაობას არ უჩენია თავი

5. სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ ფულის კასებისა,



ნივთ-მასალის საწყობებისა, სააღმშენებლო ოპერაციებისა და საზოგადოდ ფაქტიურ კონტროლის წარმოების საქმეები.

6. საქმეები კასებში მომხდარ ფულის გაფლანგვისა და ტაციობის შესახებ.

7. საქმეები, რომელიც შეეხება სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მონაწილეობას ყოველგვარ საგნი გამო გამართულ თათბირსა და კომისიებში.

8. ცნობები სახელმწიფო შემოსავალ გასავლის აღსრულების ანგარიშის განხილვისათვის.

9. სექციების მიერ წლიურ ანგარიშისათვის წარდგენილი ცნობები.

10. სახელმწიფო კონტროლის პირადი შემადგენლობის შესანახად და საზოგადოდ გამოუკლებლად მისი ყველა სამეურნეო საქმიანობისათვის გაწეულ ხარჯის შესახები საქმეები.

11. საქმეები, რომელიც შეეხება სახელმწიფო კონტროლის მოხელეთათვის პენსიის დანიშვნისათვის შუამდგომლობას.

12. სახელმწიფო კონტროლის მიერ შედგენილი სავაჭრო წარმოება კონტროლიდან ხაზინის ქონების გასყიდვის შესახებ.

13. სახელმწიფო კონტროლის შემოსავალ-გასავლის საბუჰალტერო ანგარიშის წარმოება.

ბ) ხუთის წლის განმავლობაში დასრულების დღიდგან:

14. ყოველგვარი მიწერ-მოწერა, რომელსაც დასრულება არა სკირია და რომელიც სახელმძღვანელოდ არ არის მისაღები.

15. საქმეები შესახებ იმ მსახურთა და შიკრიკთა, რომელთაც სახელმწიფო კონტროლის უწყებაში სამსახურისათვის თავი დაუნებებიათ, ისე-კი, რომ ამ საქმეებიდან უნდა ამოკრებილ იქნას დედანი საბუთის — ქაღალდები, თუ ასეთი ქაღალდები შიგ აღმოჩნდება.

16. სახელმწიფო კონტროლის სამეურნეო საქმიანობისათვის მოიჯარადრებთან დადებულ ხელშეკრობათა შესახები საქმეები

და 17. დასავაჟენ ქაღალდებისა მორიგეობისა და სხვა დავთრები, რომელთაც საკასო საბუჰალტერო ანგარიშის მნიშვნელობა არა აქვს. **თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? არვინ. მიღებულია.

**რ მ ვ ი ზ ი ი ს წ მ ს დ მ ბ ა.**

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

**თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი**

**ზოგად დებულებათათვის.**

1. მთავრობის ყველა დაწესებულებანი, რომელნიც განაგებენ ანუ რომელთა განკარგულებაშია არის სახაზინო თანხები, ქონება და ფული, აგრეთვე განსაკუთრებულ შემოსავალთა და დანიშნულებათა ღო

ნისძიებანი და დებოზიტები, ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლის რევიზიას, რომელიც შეეხება როგორც ამ თანხების მოძრაობას იმ დაწესებულებათა ხელში, ისე წარმოებულ ოპერაციების არსებასაც.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

**შენიშვნა:** ა) საკანონმდებლო დაწესებულების შესანახად გაწეულ ხარჯებს ამოწმებს ამ დაწესებულების მიერ არჩეული ცალკე კომისია და ამტკიცებს თვით ეს დაწესებულება; ბ) სახელმწიფო კონტროლის შესანახად გაწეულ ხარჯებს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლიორის მიერ დანიშნული კომისია და ამტკიცებს სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

2. საერობო დაწესებულებანი, საქალაქო, საზოგადოებრივი მართველობანი, აგრეთვე კერძო კომპანიები, ამხანაგობანი და საზოგადოებანი ვალდებულნი არიან ანგარიში წარუდგინონ სახელმწიფო კონტროლს, თითოეულ შემთხვევაში ცალკე და კანონებისა და დებულებისამებრ, იმ ფულისათვის, რომელიც მათ გარდაეცემა, სახელმწიფო ხაზინიდან ზოგად სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მაშინ, როცა გარდაეცემთ სასარგებლოდ და საქსპლუატაციოდ სახელმწიფო ქონება და კუთვნილება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

3. სახელმწიფო კონტროლი რევიზიის შემწეობით რწმუნდება, როდენ კანონიერად და წესიერად არის წარმოებული მის მიერ შემოწმებული ოპერაციები სახაზინო თანხებისა, ფულის და ქონებისა, აგრეთვე განსაკუთრებულ ღონისძიებათა და დებოზიტების ფულისა. გარდა ამისა, სახელმწიფო კონტროლი რწმუნდება, როდენად უკლებლივ და მთლიანად არის დაცული ზემოხსენებული თანხები, ქონება და ფული; აგრეთვე დაასკვნის თავისს აზრს, მის მიერ შემოწმებული საშეურნეო ოპერაციები როდენ ეკონომიურად და მიზანშეწონილად არის წარმოებული, ან რამდენად ხელსაყრელია ან საზარალო სახელმწიფოსათვის.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

4. სახაზინო თანხებისა, ქონებისა და ფულის შემოწმების დროს, აგრეთვე განსაკუთრებულ ღონისძიებათა და დებოზიტების ფულის შემოწმების დროსაც, სახელმწიფო კონტროლის რევიზიას ექვემდებარება ანგარიშ—ვალდებულ დაწესებულებათა როგორც განკარგულებითი, ისე აღსრულებითი მოქმედება.



**თავმჯდომარე.** ვინ ასის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგ მუხლი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

5. სახელმწიფო კონტროლის მიერ წარმოებული რევიზია განიცოფება დოკუმენტალურ და ფაქტიურ რევიზიად. დოკუმენტალური რევიზია ის არის, როცა შემოწმებულ იქნება ოპერაციები ნამდვილ დოკუმენტებით, აქტებითა და დათვრებით, აგრეთვე, თუ საჭიროდ დანახულ იქნა კონტროლის მიერ, განხილულ იქნება თვით ნამდვილი საქმენი ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა.

ფაქტიური რევიზია ის არის, როცა რევიზიის მწარმოებელი რწმუნდება, დოკუმენტების გასინჯვის მიხედვით, რომ მთლიანად და უკლებლივ დაცულია შესანახად დანიშნულ ადგილას ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა გამგებლობაში მყოფი თანხები, ქონება და ფული; როცა განზრახულ ან უკვე შესრულებულ ოპერაციის სისწორე და წესიერება შემოწმებულ იქნება ადგილობრივ, — ოპერაციის წარმოების ადგილას, — და დამყარებული იქნება სინამდვილისა და დოკუმენტების ჩვენების სრული თანხმობა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

6. დოკუმენტალური რევიზია განიცოფები წინასწარ და შემდგომ რევიზიად. წინასწარი რევიზია შემოწმებაა განზრახულ ოპერაციებისა შესრულებამდე, ხოლო შემდგომი რევიზია შემოწმებაა უკვე შესრულებულ ოპერაციებისა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

7. წინასწარ და ფაქტიურ რევიზიას ჰქონიან სახელმწიფო კონტროლიორი მაშინ და იქ, როცა და საცა საჭიროდ დაინახავს, და აუწყებს ამას შესამოწმებელ უწყების მთავარ უფროსს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

8. იმ ოპერაციებისათვის, რომელიც არ ექვემდებარება მუდმივ ფაქტიურ რევიზიას, სახელმწიფო კონტროლიორს ნება აქვს, ცალკე შემთხვევებში, დააკისროს კონტროლის მოხელეებს ფაქტიური შემოწმება თანხებისა, ქონებისა და ფულისა, რომელიც იმყოფება ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა განკარგულებაში, აგრეთვე შემოწმება იმ დაწესებულებათა მიერ წარმოებულ სამეურნეო ოპერაციებისა, როგორც, მაგალითად: სააღმშენებლო ოპერაციისა, მომარაგების ოპერაციის და სხვ. ასეთის შემოწმების წარმოების ამბავი უნდა ეუწყოს სათანადო დაწესებულებათა და პირთ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).



9. სახელმწიფო რევიზიის ქვემდებარე დაწესებულებანი მოვალენი არიან წარუდგინონ ამ კონტროლს ანგარიშები განსაზღვრულ ვადაზედ. დოკუმენტალური რევიზია ადგილობრივ-ოპერაციების წარმოების ადგილას, თუ ასეთი რევიზია დაწესებულია, ცალკე ამისათვის გაგზავნილ კონტროლის მოხელეთა მიერ სწარმოებს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

10. რევიზიისათვის საჭირო ცნობანი, თუ წარმოდგენილ ანგარიშებში არ მოიპოვება, აგრეთვე დოკუმენტები, ხოლო თუ საჭიროდ იქნა ცნობილი კონტროლის მიერ, თვით ნამდვილი საქმენიცი, თუნდ ჯერ დაუმთავრებელნიც, უნდა წარმოდგენილ იქნას, კონტროლის მოთხოვნისამებრ, მთავრობის ყველა დაწესებულებისა და მოხელის მიერ, აგრეთვე, სათანადო შემთხვევებში, საერობო, საქალაქო, საზოგადოებრივ და კერძო მართველობათა და დაწესებულებათა მიერ. ამ სახითვე ყველა ასეთი ცნობანი, დოკუმენტები და საქმენი უნდა წარედგინოს სახელმწიფო კონტროლის იმ მოხელეთ, რომელნიც გაგზავნილი იქმნებიან რაიმე ცნობის მისაღებად, ანუ საქმის მიმოხილვისათვის. იმავე მოხელეებს, მათის მოთხოვნისამებრ, უნდა მოეცეთ შემოწმებული წერილობითი ცნობანი.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

11. ის ანგარიშები, ცნობანი, დოკუმენტები და საქმენი, რომელნიც სახელმწიფო საილუმოს შეიცავენ, წარედგინება ან გაგზავნება სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს იმ წესით, რომელიც დამყარებული იქმნება სახელმწიფო კონტროლიორის მიერ სათანადო მინისტრთან შეთანხმებით.

**თავმჯდომარე** მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

12. გასარკვევად იმ გაუგებრობისა, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს ანგარიშის რევიზიის წარმოების დროს, სახელმწიფო კონტროლს უფლებს აქვს, მიწერ-მოწერის ასაცილებლად, მიიწვიოს, სათანადო უფროსის საშუალებით, ის მოხელენი, რომელნიც შესაძლოა შემდგომად ანგარიშის შედგენას განაგებდნენ, თუ ისინი იმავე ქალაქში არიან, საცა კონტროლია.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

13. ყოველგვარი ცნობანი, აგრეთვე დოკუმენტები და საქმენი, რომელიც საჭირო აღმოჩნდება რევიზიისათვის, მთავრობის დაწესებულებებში და კაცებში უნდა გაუგზავნონ კონტროლს ორის კვირის ვადაზედ დღიდან მათი მოთხოვნის მიღებისა. გაგზავნილ საქმეებს კონ-



ტროლი დაუყონებლივ უბრუნებს უკანვე, როცა მისთვის საჭირო აღარ იქნება.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

14. ვადები, რომელიც განსაზღვრულია ანგარიშისა, ცნობებისა, დოკუმენტებისა და საქმეების კონტროლში გაგზავნისათვის, აგრეთვე ყველა სხვა ვადები, ამ წესდებაში მოხსენებული, შესაძლოა გადიდებულ და აგრეთვე შემოკლებულ იქნას სახელმწიფო კონტროლიორის მიერ, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე ერთიორად.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

15. იმ ვადების აღრიცხვის დროს, რომელიც ამ წესდებაშია მოხსენებული, დაცულ უნდა იქმნეს ის წესები, რომელიც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის წესდების 819—822 და 824 მუხლში (კან. კრებ.ტ. XVI, ნაწ. I, გამოც. 1914 წლ.) და სისხლის სამართლის წესდების 867 მუხლში (კან. კრებ. ო. XVI ნაწ. I, გამოც. 1914 წლ.).

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

16. ანგარიშ-ვალდებულ დაწესებუბათა და პირთა უფროსებს ევალებათ თვალყური ადევნონ, რათა თავის დროზედ და რიგზედ იგზავნებოდეს კონტროლში სარევიზიოდ ანგარიშები და რევიზიის საწარმოებლად საჭირო ცნობანი, დოკუმენტები და საქმენი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს)

17. თუ ვინიცობაა შეუძლებელია წარდგენილ იქმნას ვადაზედ ანგარიში, ცნობანი, დოკუმენტები, გინა საქმენი, ანგარიშ-ვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი ვადის გასვლამდე აცნობებენ კონტროლს, რა მიზეზით დაგვიანდა წარდგენა ყოვლისავე ამისა და ამასთანავე მოვალენი არიან აღნიშნონ რამდენადაც შეიძლება მოკლე ვადა, —ყოველ შემთხვევაში დაწესებულზე არა უმეტეს ერთის თვისა, —როდესაც გაგზავნილ იქნება ანგარიშ, აგრეთვე მოთხოვნილნი ცნობანი. თუ დოკუმენტები ანუ საქმენი გაგზავნილია რომელსავე სხვა დაწესებულებაში ანგარიშ ვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი მოვალენი არიან ვადის გადასვლამდე აცნობონ კონტროლს, როდის და ვის გაგზავნა ანგარიში, დოკუმენტები, ანუ საქმენი.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

18. თუ ვინიცობაა ვადაზედ არ იქნა წარდგენილი ანგარიში, დოკუმენტები გინა საქმენი და ამასთანავე კონტროლმა არც ის ცნობა შეიძო, თუ რა მიზეზით მოჰხდა ესა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა წარმოდგენილ განმარტებიდგან კორტროლი დაინახავს, რომ ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებას, ან პირს უნდა თავიდან აიცილოს



წარდგენა ანგარიშისა და მოთხოვნილ ცნობათა, — დამნაშავეს კონტროლი ადებს ჯარიმას ფულად არა უმეტეს ნახევარი თვის ჯამაგირისა: ხოლო თუ დამნაშავე, რომელმაც არ ასრულა მოთხოვნილება კონტროლისა, ჯამაგირს არ იღებს, — 30 მანეთამდე.

კონტროლის გარდაწყვეტილება დაჯარიმებისათვის საბოლოო განსაჩივრებას არ ექვემდებარება.

ჯარიმა გარდახდება დამნაშავეს ჯამაგირის პირველსავე მიცემის დროს იმ წესით, როგორც მოხსენებულია 340 — მ-მ მუხლებში დებულებისა ხაზინის უდავო საქმეთა გარდასახადებისათვის (კანონ. კრებ. ტ. XVI. ნაწ. მე-2, გამოც. 1910 წლ.).

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთნის მელიტონ რუსიას.

**მელიტონ რუსია.** (ს. დ.) ამ მუხლში ერთგვარი გაუგებრობაა: აქ არის ლაპარაკი ჯარიმაზე და სწერია, რომ „როცა ანგარიშ — ვალდებულ დაწესებულებას, ან პირს უნდა თავიდან აიცილოს წარდგენა ანგარიშისა და მოთხოვნილ ცნობათა, — დამნაშავეს კონტროლი ადებს ჯარიმას ფულად არა უმეტეს ნახევარი თვის ჯამაგირისა, აქედან ცხადია, რომ ჯარიმას იხდიან არა დაწესებულებანი, არამედ ეს მოხელეები, რომელიც იქნებიან დამნაშავენი. რომ გაუგებრობა არ იყოს წინადადებას ვიძლევი ამოაშალოს სიტყვა: **დაწესებულებას, ან პირს** და წავიკითხოთ ესე, რომ ანგარიშ ვალდებულთ უნდათ თავიდან აიცილონ.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის კონსტანტინე აფხაზს,

**კონსტ. აფხაზი.** ბატონებო, ხშირად უხერხული მდგომარეობა არის ხოლმე. მიღებულია ოფიციალური ტექსტი და შემდეგ კი, თურმე, ეს ტექსტი არ ისინჯება პარლამენტში. არ შეიძლება, რომ პარლამენტის წევრმა და უფრო უარესი კომისიამ, არ იცოდეს ეს შესწორება, რომელიც გააკეთეს, ოფიციალურ ტექსტში. მე ვფიქრობ რომ, ეს ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ პრეზიდიუმს მიუვიდეს ის ტექსტი, რომელიც ირჩევა პარლამენტში.

ამ 18-მუხლზე უნდა მოგახსენოთ. მე წინააღმდეგი ვარ რომ რაიმე ჯარიმა იყოს დაწესებული ამ დაწესებულებაში, მოხელეზე. საჭიროა, რომ ეს მუხლი სრულიათ იყოს გამოტოვებული.

**ფილიპ. გოგინაიშვილი.** (ერ. დემ.) უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენ ახალს უცნობს არაფერს ვაწესებთ. ჩვენ ხელმძღვანელობთ, ვსარგებლობთ, იმით რაც, სხვაგან არსებობს. თქმა იმისა, რომ ამის წინააღმდეგი ვართ, რომ ეს არ მივიღოთ არ შეიძლება; ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენი საქმისთვის. არ მიღება ამისი იმას ნიშნავს, რომ ანგარიშის შემოწმობას ვერ მოახერხებთ ვერას გზით. ეს არის მიღებული სხვა დაწინაურებული ქვეყნებში, მაგალითად იტალიაში; სწორედ ასეთი წესია იტალიის კანონდებლობაში. უნდა იცოდეთ, რომ შედეგი ამისა ის არის, რომ ყო-



ველთვის თავის დროზე ანგარიშს წარმოადგენენ. ვთქვათ თქვენ დაწესეთ რომ ამა თუ იმ თვეში, ამა თუ იმ ვადის ანგარიში უნდა წარმოადგინონ მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თქვენ ანგარიში არ წარმოადგინეს. მისწერეთ ერთხელ, ორჯერ, ოცჯერ, მაგრამ კიდევ არ წარმოადგინეს.

რუსეთში იყო სწორედ ეს წესი და იმიტომ იქ ხშირად ნახავთ ასეთ მავალითს რომ ათი წლის ანგარიში არ იყო გაშინჯული კონტროლიორის მიერ. მე კიდევ შემძლიან მოგახსენოთ, რომ კავკასიის ათი წლის ანგარიში წინანდელ, საკანტროლო პალატას ჯარ განუხილავს დღესაც, რადგან, არ ყოფილა რეპრესიები მიღებული.

კანონი რომ ამბობს უნდა წარმოადგინოთ, პასუხისმგებლობა იქნება. თუ ამ კანონს არ შეასრულებენ მაშინ სასამართლოს უნდა გადავსცეთ ისინი, ვინც ამას არ შეასრულებენ! ეს ისეთი საყურადღებო ძირითადი საკითხი არის, ეს რომ უარყოფთ, მაშინ უარყოფთ საქმის წარმოებას, მაშინ ჩვენ ნამდვილი ანგარიში არ გვექნება.

დღეს უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ მთელი სახელმწიფოს ანგარიშიდან არც ერთი ანგარიში სახელმწიფო კონტროლიორთან არ მოსულა, წელიწადი თავდება და კონტროლში მასალა არ არის. ქაღალდი გაგზავნილი არის ყველგან, მაგრამ არსაიდან ანგარიში არ მოსულა. და ეს არ იქნება თავის დღეში დროზე გამოგზავნილი, თუ სახელმწიფოს კონტროლიორს არ ექნება შემოდებული რაიმე, განსაზღვრული, განსაკუთრებული უფლება. კანონში უნდა ეწეროს, რომ ისინი ვალდებული არიან და უნდა წარმოადგინონ და ვინც არ შეასრულებს ამას — შესაძლებლობა უნდა არსებობდეს რომ პასუხის გება მოეთხოვოს მას. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან ანგარიში მივიღოთ.

ამის შესახებ ყოფილა დებატები სხვა ქვეყნებში და კონტროლის ყველა მკოდნემ იცის და ამ აზრისა არის, რომ ამაზე უაღრესი და უტყუარი საშუალება არ არის, რომ დროზე იყოს წარმოადგენილი ანგარიში.

**თავმჯდომარე.** ვის ნებავეს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**გრიგოლ რცხილაძე.** ამ შესწორების წინააღმდეგ, რაიმე წინააღმდეგობას არ ვაცხადებ. შესწორება სულ მარტივია, იგივე აზრი რჩება არაფერ ცვლილებას არ ახდენს. თავის თავად ცხადია პასუხისმგებლობა დაეკისრება კერძო პირებს და არა უწყებას.

**თავმჯდომარე.** ასე რომ, თქვენ ამ შესწორების თანახმა ხართ?

**გრიგოლ რცხილაძე.** (სოც. ფედ.) ამ შესწორების თანახმა ვარ. რაც შეეხება მთელი მუხლის გამოტოვებას, ყოვლად შეუძლებელია, მაშინ ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიქნებით, რა მდგომარეობაშიაც იყო რუსეთი და ყველა ის ქვეყნები, სადაც შემოდებული არ ჰქონიათ ეს უფლება. შემდეგ სწორეთ იმისთვის, რომ წესიერება იყოს დამყა-

რებული, თითქმის ყველგან შემოღებულია ამისთანა წესი, ეს არის ძიუღებითი წესი ანგარიშის წარდგენისა.

**თავმჯდომარე.** რაც შეეხება აფხაზის წინადადებას მე კენქს ვერ ვუყრი, იმიტომ, რომ არა მაქვს წერილობით. ხოლო რაც შეეხება რუსიას წინადადებას მას კენქს ვუყრი. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მე-18 მუხლში შევიტანოთ შემდეგი ცვლილება: ამოვშალოთ დაწესებულია ან პირს და ჩაუმატოთ ანგარიშ ვალდებულთ უნდათ თავიდან აიცილიონ.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს)

19. ფულად დანახარჯის რევიზიის დროს თუ ვინიცობაა არ იქმნა წარმოდგენილი ანგარიში, ცნობანი, დოკუმენტები გინა საქმენი, — სახელმწიფო კონტროლი იმ ხარჯების შესახებ, რომლის გასამართლებლადაც სათანადო საბუთები არ აღმოჩნდება, ხელად-ქონებულ მასალის მიხედვით დაადგენს სარევიზიო დასკვნას. თუ ანგარიშის-დანაკლისი იქმნა შეწერილი, საქმეს ეძლევა შემდეგი მსვლელობა იმ წესით, რომელიც მოხსენებულია 84—92 მუხლებში.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

20. რევიზიის დროს აღძრულ საკითხების გამო, მათ შორის სატენიკო ხასიათის საკითხების გამოც, თუ ეს საკითხები სარევიზიო წესით არაა წარსამართავი, რადგან ხაზინას პირდაპირი ზარალი არა მოსვლია—რა, სახელმწიფო კონტროლის სექციებს ნება აქვთ თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინონ კონტროლის საერთო საკრებულოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

21. სასამართლოს გარდაწყვეტილებანი, კანონიერ ძალაში შესულნი, სავალდებულოა კონტროლისათვის და იმიტომ მისი სარევიზიო დასკვნით იგი გარდაწყვეტილებანი ვერ დაირღვევა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

22 თანამდებობის პირთ, რომელნიც შესაძლოა პასუხის-გებაში ჩავარდნენ სარევიზიო ანგარიშის-დანაკლისის შეწერით, ანუ მათ რწმუნებულებს ნება აქვთ დაესწრონ სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს სხდომას სიტყვიერ განმარტების მისაცემად. ამათი განმარტება უნდა ჩაწერილ იქმნას ჟურნალში ანუ სხდომის ოქმში.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

23. განსამარტებლად 1—22 მუხლში მოხსენებულ დადგენილებათა სახელმწიფო კონტროლიორი გამოსცემს ინსტრუქციებს შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს შემოწმება იმ თანხების, ქონებათა და ფულის ოპერაციებისა, რომელიც ანგარიშ-ვალდებულ



დაწესებულებათა და პირთა განკარგულებაშია, აგრეთვე აწესებს ვადებს იმ ოპერაციების რევიზიის მოსახდენად.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი მე-23-ე მუხლისა? მიღებულია—  
შემდეგი თავი.

**თ ა ვ ი მ ე ო რ ე**

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

დოკუმენტაჟურ რევიზიისათვის.

**განყოფილება პირველი**

დოკუმენტაჟურ რევიზიის წესისათვის.

24. დოკუმენტალური რევიზია შეიცავს ანგარიშის შემოწმებას:  
ა) კასობრივად, ე. ი. რამდენადაც შეეხება კასას, და ბ) არსებითად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

25. ანგარიშის რევიზიის კასობრივად წარმოების დროს კონტროლი, ანგარიშის ცნობების დაპირდაპირებით დოკუმენტებთან, რწმუნდება: სწორედ არის თუ არა კასის ოპერაციები წარმოებული, ნაღდის ნაშთი—გამოყვანილი; არის თუ არა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა და პირთა გამგებლობაში მყოფი თანხები, ქონება და ფული ხელუხლებელი და ამ თანხებისა, ქონებისა და ფულის შესახები ანგარიშის წარმოება—წესიერი. განსაკუთრებულ ხარჯთ-ამკრებთა შესახებ კონტროლი, გარდა იმისა, რწმუნდება: წესიერად და თავის დროზედ გადასცემენ ხოლმე თუ არა ეს კასები კუთვნილებისამებრ მათ მიერ აკრებილ ფულს. რევიზიის დროს შემჩნეული საბუხპალტერო უსწორობა და შეცდომანი უნდა გასწორდეს იმის მიხედვით, რასაც კონტროლი საბოლოოდ გამოარკვევს სათანადო ანგარიშ ვალდებულ დაწესებულებებსა და პირებთან მიწერ-მოწერით.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

26. სახელმწიფო შემოსავალთა არსებითად შემოწმების დროს სახელმწიფო კონტროლი უნდა დარწმუნდეს: იმდენი შემოვიდა თუ არა შემოსავალი, რამდენიც უნდა შემოსულიყო კანონთა და კანონიერ დადგენილებათა საფუძვლით; თავის დროზედ შემოდის თუ არა ხაზინაში შემოსავალი; ახდენინებენ თუ არა დაწესებულ საზღაურსა და ჯარიმას; იწერება თუ არა სათანადო ანგარიშებზედ შემოუტანელ გარდასახადად ის, რაც ხაზინას არა აქვს მიღებული შემოსავლის ჯამიდან; თუ შემოსატანი განაწილებულია განხანგრძლივებულ ვადებით, ჰხდება



თუ არა ესა კანონიერ ნებართვით დაწესებულ უზრუნველსაყოფელთა ბით.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

27. როცა შემოწმება იმ ზარალ—დანაკლისის ასანაზღაურებელ შემოსავლისა, რომელი ზარალი და დანაკლისი საანგარიშო თანხებზე განუცდია, კონტროლი რწმუნდება: წესიერად არის თუ არა ნაანგარიშევი ზარალი და დანაკლისი იმ თანხებისა და შეესაბამება თუ არა ნამდვილს ზარალსა და დანაკლისს ის საურავი, რაც ვისთვის დაუკისრებიათ; მიღებულია თუ არა სათანადო ღონისძიებანი, რათა თავის დროზედ იქნას შევსებული და ანაზღაურებული ზარალი და დანაკლისი, ხოლო თუ ამ ზარალ-დანაკლისს ხაზინა კისრულობს, არსებობს თუ არა ამისათვის კანონიერი საფუძველი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

28. ხაზინაში ვალისა და ნაშთ-გარდასახადთა შემოსავლის შემოწმების დროს კონტროლი რწმუნდება, რამდენად წესიერად არის წარმოებული ვალისა და ნაშთ-გარდასახადთა ანგარიშები და მიღებულია თუ არა ის ღონისძიებანი, რომელნიც კანონშია ნაჩვენები ვალებისა და ნაშთ-გარდასახადთა გარდახდევინებისათვის.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

29. სახელმწიფო გასავლისა და ხარჯის შემოწმების დროს კონტროლი რწმუნდება: მისაღებია თუ არა კანონის მიხედვით საგანი ხარჯისა და თვით ნებართვა ხარჯისა კანონიერია თუ არა; სწორედ იმდენი დახარჯულა, რამდენიც უნდა დახარჯულიყო, და ნამდვილად დანიშნულებისამებრ თუ არა. გარდა ამისა, კონტროლი თვალყურს ადევნებს: სწორედ იმ ხელის უფალმა დართო ნება დახარჯვისა, რომელიც ამისათვის უფლება-მოსილი იყო თუ არა; შეესაბამება თუ არა საქიროების დასაკმაყოფილებლად არჩეული საშუალება და თვითწესი მისის განხორციელებისა კანონსა და კანონიერს ნებართვას; ხარჯების გაღება დაწესებულ დროსა და ვადაზედ სწარმოებს და სწორედ სათანადო წყაროდან თუ არა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

30. როცა სწარმოებს რევიზია ნივთიერ ქონების მოძრაობისა, როგორც საინვენტაროსი, ისე სახარჯოსი, კონტროლი რწმუნდება: მთელი ის ნივთიერი ქონება, რომელიც ნაშთად იყო საანგარიშო ხანის დამდგეს, ან რაც ახლად მოპოვებულ ან წარმოებულ იქნა ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა საშუალებით, სავსებით არის ნაჩვენები შემოსავლად და ღირებულობის სათანადო ფასით არის აღნიშნუ-

ლი, თუ არა; თავის დროზედ იწერება თუ არა შემოსავალში ახლად შემოსული ქონება; კანონიერის საფუძვლისა და სათანადო რაოდენობისამებრ იწერება თუ არა ქონება გასავალში; როცა გაყიდვა უვარგისად ქცეულ ქონებისა, დაკული არის თუ არა კანონით დაწესებული წესი გაყიდვისა; იწერება თუ არა შესაფერ ანგარიშებში და ვადაზედ ბრუნდება თუ არა გასესხებული ქონება, აგრეთვე დაწესებულ ნორმებს ხომ არ აღემატება ქონების შენახვისა და ვალატან-ვადმოტანის ხარჯები.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

31 სპეციალ ღონისძიებათა მოძრაობა შემოწმებულ უნდა იქმნას არსებობად იმავე წესითა და საფუძველით, რაც დადგენილია სახელმწიფო შემოსავლისა და ხარჯების რევიზიისათვის. ამას გარდა სპეციალ ღონის ძიებათა შემოწმების დროს კონტროლი უნდა დაწმუნდეს წესიერია თუ არა ანგარიშით ნაჩვენებ ფულის მოქცევა სპეციალ ღონისძიებათა მოკრებისა და ხარჯვის დროს ის წესი და პირობები, რომელიც მათთვის ცალკე დაკანონებულ-დაწესებულია.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

32. როცა რევიზიაა დებოზიტებისა, თუ ამ დებოზიტებს სპეციალ ღონისძიებათა ხასიათი არა აქვს და ამიტომ არ ექვემდებარება იმნაირსავე შემოწმებას, როგორც საზოგადოდ სპეციალი ღონისძიებანი, კონტროლი უნდა დაწმუნდეს, — შემოსავლისათვის. შესამოწმებელ დებოზიტებს შორის ხომ არ არის მოხსენებული ისეთი ფული, რომელიც ეკუთვნის ან სახელმწიფო ხაზინის შემოსავალია: წესიერად ჩარიცხული თუ არი ფული დებოზიტად, დებოზიტების შორის ხომ არ არის ჩარიცხული სპეციალი ღონისძიებანი ან წესის წინააღმდეგ გადარიცხული ხარჯთ — აღრიცხვის რამ ფულა, აგრეთვე ისეთი დებოზიტები, რომელიც ხანგრძლივობის ვადის გასვლისა ან სხვა მიზეზის გამო უნდა გადაირიცხოს ხაზინის სასარგებლოდ ან სპეციალ თანხებში: გასავლისათვის: — ხარჯი იმ ფულით სწარმოებს თუ არა, რომელიც თავის დანიშნულებისთვის არის შეტანილი სათანადო კასში, და ამ დაწესებულებასა და პირსეძლევა თუ არა ფული, ვის მისაცემდაც არის დანიშნული; ნაშთისათვის: — სწორედ არის თუ არა ვადმოტანილი წინანდელ დავთრებიდან სადებოზიტო ფულის ნაშთები; გირაოს დაბრუნებისათვის: — შეასრულა თუ არა გირაოს დამდებმა ის პირობა, რომლის უზრუნველსაყოფად გირაო ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო თუ ერთი გირაო მეორეთი შეიცვალა, — დაკული იქმნა თუ არა ამ ცვლის დროს ამისათვის დადგენილი წესები.

**თავმჯდომარე.** მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).





33. იმაში, რომ ქონება და სამუშაო ძალა წესიერად არის დახარჯული იმ სხვა და სხვა გვარ ოპერაციათა წარმოებისათვის რომელთათვისაც სატეხნიკო ან საოპერაციო ანგარიშის შემოწმებით, აგრეთვე ამის შედარებით ფულისა და ნივთ-მასალის ანგარიშთან.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

34. სატეხნიკო ანგარიშის შემოწმების დროს, კონტროლი უნდა დარწმუნდეს; სწორედ არის თუ არა შესამოწმებელ სამუშაოსთვის ნაანგარიშევი მასალა და სამუშაო ძალა ხარჯთ-აღრიცხვითა და სატეხნიკო შეფასებით, სისწორით არის თუ არა იგი ხარჯად გატარებული სატეხნიკო ან სამუშაოთა ანგარიშებში, აგრეთვე ეთანხმება თუ არა მოხსენებული ანგარიშები კანონიერის წესით შედგენილ და დამტკიცებულ გეგმას, ნახაზ-ნახატს და სხვა საბუთსა, რაიცა საფუძველად უდევს იმ ანგარიშებს. ხარჯთ-აღრიცხვაში მიღებულ სატეხნიკო ნორმების შესახებ კონტროლს შეუძლიან აღძრას საკითხი, თუ სცნო, რომ ის ნორმები სისწორით არ არის ნახმარო.

**თავმჯდომარე.** მიღებულია, შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

35. სატეხნიკო ანგარიშის ფულისა და ნივთ-მასალის ანგარიშთან შედარების დროს კონტროლი რწმუნდება, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელ სამუშაოსათვის ნამდვილად დახარჯული მასალა და სამუშაო ძალა რაოდენობით, ღირსებით, თვისებით, აგრეთვე ღირებულობით იმას, რაც ანგარიშში იმ სამუშაოსათვის დახარჯულად არის ნაჩვენები.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

36. როცა კონტროლი ამოწმებს საოპერაციო ანგარიშებს შესახებ ნაწარმოებთა დამზადებისა, ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისა, ხაზინის ხარჯით გაწეულ საქმე-წარმოებისა და სხვა ასეთისა, — თვალყურს ადევნებს, კანონიერია და სათანადო ხელის-უფალისმიერ ნებადართულია, თუ არა ის ოპერაცია, სწორედ იმ ზომისად არის იგი ოპერაცია აღსრულებული, როგორც ნებადართული იყო სათანადო ხელის-უფალის მიერ, თუ არა; შეესაბამება თუ არა ციფრები საოპერაციო ანგარიშისა ციფრ-ცნობებს ფულისა და ნივთ-მასალის ანგარიშისას, აგრეთვე სწორედ არის გამოყვანილი დამზადებულ ნივთების ღირებულება და ამ ღირებულებაში ჩათვლილი ზედართული ხარჯები თუ არა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

37. გარდა იმ უმთავრეს საკითხების გარდაწყვეტისა, რომელიც მოხსენებულია 25—36 მუხლებში, სიხელმწიფო კონტროლს ნება აქვს სხვა საკითხებიც აღძრას, რომელიც კი თავს იჩენს დოკუმენტალურ რევიზიის დროს, რათა დარწმუნდეს, რამდენად კანონიერი და წესიერია



შესამოწმებელი ოპერაციები, აგრეთვე რამდენად მომჭირნობით, მიზანშეწონილობით და სახიროდ არის წარმოებული ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა მიერ სამეურნეო ოპერაციები.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

38. განმკარგულებელ მართველობათა ანგარიშებს სახელმწიფო კონტროლი ამოწმებს მთელის სისრულით, მაგრამ სახელმწიფო კონტროლიორს უფლება აქვს ცალკე ოპერაციების შესახებ დაპნიშნოს ნაწილობრივი (ამორჩევით) რევიზია, რომლის ზოგად საფუძვლებს თვითვე ამყარებს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

### განყოფილება მმორე

წინასწარ დოკუმენტალურ რევიზიასთვის.

39. როცა წინასწარ დოკუმენტალურ რევიზიას აწარმოებს, სახელმწიფო კონტროლი:

ა) აუწყებს, ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთ თავის დასკვნას სამეურნეო გეგმათა, კონდიციებისა, გამოწვევისა და ხელშეკრულებათა პროექტებისა, აგრეთვე ვაჭრობის წარმოებისა, მაზანდის გარდაკვეთისა და ყოველ გვარ სამეურნეო საქმეთა, მოსაზრებათა და საკითხთა შესახებ;

ბ) ამოწმებს, ხაზინაში გაგზავნამდე, ასიგნოვებს, ანუ მათს საბაღლო ფულის გასაცემ დოკუმენტებს;

გ) ჰგზავნის საკონტროლო უწყების წარმომადგენელთ განმკარგულებელ სამართველოთა სხდომებზედ დასასწრებლად.

**თამმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

40. სახელმწიფო კონტროლიორს ნება აქვს დააწესოს წინა მუხლში (33) მოხსენებული წინასწარი რევიზია ყველა სახისა ერთად, ან თითოეულისა ცალკე.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

41. თვინიერ მე-39 მუხლში ჩამოთვლილ წინასწარ რევიზიის სახეთა, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს ევალება, კანონით ნაჩვენებ შემთხვევათა გარდა, აუწყოს განმკარგულებელ მართველობათ თავისი დასკვნა შესახებ იმ ფულის უკან დაბრუნებისა, რომელიც შეცდომით შევიდა ხაზინაში, ან რომელიც დახარჯულ იქმნა თანამდებობის პირთა მიერ სახაზინო საქიროებისათვის მათის საკუთარის ქონებიდან.



**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

42. სახელმწიფო კონტროლი აუწყებს განმკარგულებელ მართველობათ დასკვნას სამეურნეო გეგმათა, კანდიციებისა, გამოწვევისა და ხელშეკრულობათა პროექტებისა, აგრეთვე ვაჭრობის წარმოებისა, მზანდის გარდაკვეთისა და ყოველგვარ სამეურნეო საქმეთა, მოსაზრებათა და საკითხთა შესახებ არა უგვიანეს სამის დღისა დღიდან განმკარგულებელ მართველობათაგან შეკითხვის მიღებისა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

43. კონტროლი აუწყებს დასკვნას (მუხ. 42) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიაწოდებენ, ან თავის საქმეებში მოეპოვება ამისთვის საჭირო ცნობანი. თუ ეგ ცნობანი არ მოეპოვება კონტროლი დაუყოვნებლივ თხოულობს, რაც ცნობანი აკლია, და თუ სამის დღის განმავლობაში მოთხოვნილნი ცნობანი არ მიუყვება, დაუყოვნებლივ უბრუნებს გამოგზავნილ ქაღალდებს დასკვნის დაურთველად და აუწყებს განმკარგულებელ მართველობას დასკვნის საუწყებლად საჭირო ცნობების უქონლობას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

44. როცა კონტროლი აუწყებს თავის დასკვნას, შემდეგ მიწერმოწერა ამის შესახებ კონტროლსა და ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებას შორის წყდება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

45. განმკარგულებელ მართველობას შეუღძლია. სათანადო თანამდებობის მოხელეთა ქონებრივ პასუხის-მგებლობით განახორციელოს თავისი განზრახვა-მოსაზრებანი, რომელნიც სახელმწიფო კონტროლის დასკვნას არ ეთანხმებიან.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

46. განმკარგულებელი მართველობა, გასცემს თუ არა ისეთ განკარგულებას, რომელიც არ ეთანხმება კონტროლის დასკვნას, მაშინვე აცნობებს ამ ამბავს კონტროლს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

47. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კონტროლი განმკარგულებელ მართველობას აუწყებს, დასკვნის საუწყებლად ცნობანი არ მოიპოვებო, ან როცა განმკარგულებელი მართველობა გასცემს ისეთ განკარგულებას, რომელიც კონტროლის დასკვნას არ ეთანხმება, სა-



ხელმწიფო კონტროლი საქმის გამო დასკვნას შემდგომის რევიზიის წესით დაადგენს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

48. ის დასკვნა, კონტროლისა, რომელსაც დაეთანხმა განმკარგულებელი მართველობა, შეიძლება შეცვლილ იქმნას სახელმწიფო კონტროლის მიერ შემდგომის რევიზიის დროს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა ახალნი გარემობბანი, რომელთა დანახვა შეუძლებელი იყო მაშინ, როცა დასკვნა იწერებოდა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

49. სახელმწიფო კონტროლი აუწყებს ხაზინებს ყველა იმ ფულის ოპერაციებს, რომელიც ექვემდებარება წინასწარ რევიზიას; აუწყებს აგრეთვე ყველა იმ პირობას, რა პირობის დაცვითაც შეიძლება ასიგნოვით ფული იქმნას გაცემული.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

50. ის ასიგნოვკა, რომელიც ექვემდებარება წინასწარ რევიზიას, არ შეიძლება განაღდებულ იქმნას ხაზინის მიერ, თუ ზედ სარევიზიო განხილვის ნიშანი (გრიფი) არ აზის.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

51. თითოეული ასიგნოვკა, ვიდრე ხაზინას გაეგზავნებოდეს, უნდა გადაეცეს კონტროლს წინასწარ შესამოწმებლად. ასიგნოვკას, გარდა გარდარიცხვის ასიგნოვკებისა, ტალონი არ დაერთვის. ტალონი ეძლევა ხაზინის კრედიტორს მხოლოდ მას შემდეგ, როცა კონტროლისგან დაბრუნდება ასიგნოვკა სარევიზიო შემოწმების ნიშნით (გრიფით), რომელიც ნებას რთავს მის განაღდებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.


**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

52. ასიგნოვკას დაერთვის ანგარიშები, დამადასტურებელი და გამასამართლებელი განზრახულ ხარჯისა, ანუ ოპერაციისა; იმ დოკუმენტების შესახებ, რომელიც წინად ემცნო სახელმწიფო კონტროლს ან მის წარმომადგენელთ, უნდა იყოს აღნიშნული, როდის ემცნო.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

53. ასიგნოვკის სარევიზიოდ დადებულია არა უმეტეს სამის სადაგის დღისა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საბოლოო ანგარიშია გასასწორებელი იჯარადართან, ეს ვადა დიდდება შეიდ ღღემდე, თუ კონტროლმა საჭიროდ არ სცნო, გასასწორებელ ანგარიშის სირთულის მიზეზით, ასიგნოვკის შემოწმება შემდგომის რევიზიის წესითა. ასევე ვა-



და დიდდება შვიდ დღემდე, როცა შესამოწმებელია საოპერაციო ასი-  
გნოვკები.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

54. თუ სასწრაფოდ არის გადასახდელი ფული, განმკარგულებელი მართველობა შესაფერს წარწერას აკეთებს ასიგნოვკაზე. ამისთანა ასიგნოვკის შესამოწმებლად დადებულია ერთი სადაგი დღე.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

55. რევიზიაში გატარებული ასიგნოვკა უბრუნდება განმკარგულებელ მართველობას სარევიზიო დასკვნის ზედწარწერით, აგრეთვე განზრახულ ფულის—გალების გასამართლებელ საბუთის დართვით, თუ იგი საბუთი საჭიროა ფულის მიმღების მიერ მასზე ხელის მოსაწერად. უკან დაბრუნებულ გასამართლებელ საბუთზედ წარწერილი უნდა იყოს, რომ შემოწმებულია. თუ წინასწარ განცხადებულ იქმნა გამგე მართველობის მიერ, კონტროლისაგან სრულიად შეწყნარებული ასიგნოვკები შესაძლოა კონტროლის მიერ პირდაპირ ხაზინაში გაიგზავნოს ზედსარევიზიო დასკვნის ნიშან-დამით, ხოლო გასამართლებელი საბუთები გაიგზავნოს განმკარგულებელ მართველობაში, რომელსაც უნდა ეუწყოს, რომ შემოწმება მოხდენილია.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

56. ასიგნოვკის შესახებ სარევიზიო დასკვნა შეიძლება გამოიხატოს, შესაფერ გრიფის დასმით; ან ასიგნოვკის დამტკიცებით, ან გადაწყვეტით, რომ მთლად, გინა ნაწილი მისი ექვემდებარება არსებითად შემოწმებას წესისამებრ შემდგომის რევიზიისა, ან კიდევ დაუმტკიცებლობით მთლად გინა ნაწილოვანად.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

57. პირდაპირი და გარდარიცხვის ასიგნოვკები, რომელიც გამართლებული იქნება საჭირო საბუთებით და სარევიზიო შენიშვნებს არ გამოიწვევს, მტკიცდება წინასწარ რევიზიის დროსვე.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

58. კონტროლი გადასდებს წინასწარ სარევიზიოდ მიღებულს ასიგნოვკას შემდგომის რევიზიისათვის: თუ ასიგნოვკა გამართლებული არ არის სათანადო ანგარიშის წარმოდგენით, ან თუ რევიზიის გათავება, ანგარიშის სირთულის მიზეზით, ვერ მოხერხდა დაწესებულს ვადაზედ. იმ მიზეზებს, რა მიზეზებითაც შემოწმება გადადებულ იქმნა, სახელმწიფო კონტროლი აუწყებს განმკარგულებელ მართველობას და თან იმავე დროს უბრუნებს უკან სარევიზიოდ გამოგზავნილ ასიგნოვკას.



**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

59. იმ ასიგნოვკის მიღებისათვის, რომლის შემოწმებაც ვადაღებულ იქმნა შემდგომ რევიზიამდე, ანგარიშ-ვალდებული დაწესებულება ანუ პირი, კონტროლიან მოწერ-მიწერის გაუმართავად, დაუყოვნებლივ იხდის ფულს იმ ზომისად, რასაც თვითონ წესიერად სცნობს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

60. იმ შემთხვევაში, როცა წინასწარ რევიზიის დროს კონტროლი სცნობს, რომ განზრახული ფულის გაცემა ცხადი უწყესობაა, ან უკანონობა, არ ამტკიცებს უკანონოდ და უწყესოდ ნაანგარიშე ვალდებულ ფულის გაცემას და ამ ამბავს აუწყებს განმკარგულებელ მართველობას სარევიზიო დასკვნის განმარტებითურთ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

61. კონტროლის მიერ დაუმტკიცებელ ასიგნოვკით ფულის გაცემა არ შეიძლება, თვინიერ იმ შემთხვევისა, როცა განმკარგულებელ სამართველოს უფროსი თვითონ იკისრებს ქონებრივ პასუხის-გებას ასეთი ასიგნოვკით ფულის გაცემისათვის. დაუმტკიცებელ ასიგნოვკაზედ, გარდა 62 მუხლში მოხსენებულ ასიგნოვკებისა, კონტროლი აწერს: „არა მტკიცდება, გარნა ფულის გაცემა შეიძლება კრედიტის გამგის ქონებრივის პასუხისგებით“. ყოველ ამისთანა შემთხვევას, როცა დაუმტკიცებელ ასიგნოვკით ფული გაიცემა, განმკარგულებელი მთავრობა დაუყოვნებლივ აუწყებს სახელმწიფო კონტროლს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

62. ასიგნოვკებს კონტროლი უსათუოდ არ ამტკიცებს და არც მათი განაღდება შეიძლება ხაზინის მიერ:

ა) როცა ასიგნოვკა გაცემულია იმათგან, ვისაც ამის უფლება არა აქვს;

ბ) როცა არ არის ის კრედიტი, რომლის ანგარიშითაც გაცემულია ასიგნოვკა;

გ) როცა განზრახულია ფულის გაცემა ჯერ ისევე აუსრულებელ ჩაბარების—იჯარისათვის, რომლის გამო დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ცუდი საქონლის ჩაბარებისათვის,

და დ) როცა თხოულობენ შემდეგს ავანსებს, ხოლო წინა იმავე ოპერაციისათვის მიღებულ თანხის დახარჯვის წესიერი ანგარიში წარმოდგენილი არ არის.

**შენიშვნა.** კონტროლის ნიშნისა ანუ გრიფის ქვეშ— „არა მტკიცდება“—მიითითებული უნდა იყოს ამ მუხლის შესაფერ პუნქტზედ.



**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მზ. ასიგნოვკით გასაცემი ფული, რომელიც კონტროლმა სულ მთლად ან ნაწილობრივად არ დაამტკიცა, ან რომლის შემოწმება გადადებულია შემდგომს რევიზიამდე, შესაძლოა, იმავე წინასწარ შემოწმების წესითა, გადატანილ იქმნას დამტკიცებულ ხარჯების კატეგორიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილებულ იქნება ის მიზეზები, რომელთა გამოც დაბრკოლებულ იქმნა პირველად ასიგნოვკის დამტკიცება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მ4. ფულის გასაცემი საბუთები, დამტკიცებული წინასწარ რევიზიის დროს, ექვემდებარება შემდგომს რევიზიის მხოლოდ იმ მხრივ, ნამდვილად ფული იმათ მიეცა, ვისთვისაც იყო დანიშნული, თუ არა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღმოჩნდება ისეთი ახალი გარემოება, რომლის დანახვა წინასწარ რევიზიის დროს შეუძლებელი იყო.

გ) **საკონტროლო უწყების წარმომადგენელთა გაგზავნისათვის განმკარგულებელ მართველობათა სხდომებზედ დასასწრებლად.**

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მ5. სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელნი, გაგზავნილნი განმკარგულებელ სამართველობათა სხდომებზედ დასასწრებლად, მონაწილეობენ ამ სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონტროლის წარმომადგენელთა უფლებანი ცალკე დებულებით არის გარდაწყვეტილი.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მ6. განცხადებანი, წარდგენილნი სხდომებზედ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა მიერ, უნდა ჩაწერილ იქმნას სხდომის ჟურნალში, ანუ ოქმში.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მ7. შემოწმებული პირი განმკარგულებელ მართველობის სხდომათა ჟურნალებისა, გინა ოქმებისა დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ანუ გაგზავნოს სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთ მათის მოთხოვნილებისამებრ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

მ8. განცხადება სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა ვერ შეაყენებს განმკარგულებელ მართველობათა დადგენილების სისრულე-



ში მოყვანას, აგრეთვე არ მოასწავებს იმას, თუ რა გვარის ხასიათისა იქნება სახელმწიფო კონტროლის სარევიზიო დასკვნა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

69. უფრო საყურადღებო შემთხვევანი, როცა განმკარგულებელმა მართველობამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, ან ღონისძიება, რომელიც კონტროლს მიაჩნია ვითა უკანონო, არა სწორი და არა წესიერი, არა ეკონომიური, არა მიზან-შეწონილი, გინა საზარალო ხაზინისათვის, უნდა მოხსენდეს სახელმწიფო კონტროლიორს და ის აცნობებს ამას სათანადო მინისტრს, რათა დაუყონებლივ აცილებულ იქმნას შემჩნეული უწესობა.

დ) პრეტენზიებისათვის ხაზინისადმი და იმ ფულის უკან დაბრუნებისათვის, რომელიც ხაზინაში შეცდომით იქმნა შეტანილი, ან დახარჯული მათის საკუთარის ქონებიდან.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

70. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დასკვნა შესახებ კერძო კაცთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა პრეტენზიებისა ხაზინისადმი, აგრეთვე შესახებ იმ ფულის უკან დაბრუნებისა, რომელიც შეცდომით იქმნა ხაზინაში შეტანილი, ან რომელიც დახარჯულ იქმნა მოხელეთა მიერ სახაზინო საჭიროებათათვის მათის საკუთარის ქონებიდან, უნდა ეუწყოს განმკარგულებელ მართველობას არა უგვიანეს ერთის თვისა, დაწყებული იმ დღიდან, როცა კონტროლმა იმ მართველობისაგან შეკითხვა მიიღო, ან იმ დღიდან დაწყებული, როცა კონტროლს იმ შეკითხვის გამო დამატებითი ცნობანი მიუვიდა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

71. როცა განმკარგულებელი მართველი წინააღმდეგია იმისა, რომ კონტროლის საერთო საკრებულომ უარი დასკვნა შესახებ ხაზინიდან ფულის დაბრუნებისა, რომლის ჯამი 159 მანეთს აღემატება, საქმეში დაინტერესებულ პირთა განმარტებითურთ, თუ ასეთი განმარტება იპოვება, იმ მართველობის მთავრობამ უნდა წარგზავნოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში განსაჩივრების წესისამებრ და იმავე დროს პირი საწინააღმდეგო აზრისა უნდა აცნობოს კონტროლს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

### განყოფილება მესამე.

შემდგომის დოკუმენტაციის რეგისტრისათვის.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):





72. შემდგომს დოკუმენტალურს რევიზიას სახელმწიფო კონტროლი აწარმოებს მიღებულ ანგარიშების მიმოხილვის შემდეგ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

73. ანგარიშების მიმოხილვის დროს კონტროლი ვალდებულია დააკვირდეს, ხოა რაიმე ეჭვს არაჰბადავს სარევიზიოდ წარმოდგენილი საბუთები; მაგალითად, გასწორებული ხომ არ არის-რა შიგ ისე, რომ ცალკე არ მოუხსენებია ეს შესწორება გამსწორებელს, აგრეთვე ხომ ისეთი წაფხეკილ—წარწერილი არა არის-რა, რასაც შეუძლიან შესცვალოს აზრი საბუთისა ანუ შიგ მოხსენებელი რაოდენობა ფულისა; აგრეთვე წარმოდგენილი დავთრები, საბუთები და ანგარიშები არის—თუ არა წესიერად ხელმოწერილი ან დამოწმებული და სხვ. მსგავსი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

74. უკეთუ ანგარიშების მიმოხილვის დროს კონტროლი შეამჩნევს, რომ ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებისა, ან პირის მიერ წარმოდგენილი არ არის წესით საჭირო დოკუმენტები, აცნობოს, რომ წარმოდგინოს, რაც არ წარუდგენია; ამისათვის ვადად ერთი თვეა დადებული. თუ ანგარიშებში აღმოჩნდა ისეთი ნაკლულეფანება, რომელიც მიწერ-მოწერით ვერ იქმნება თავიდან აცილებული, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშები, ან დავთრები ხელმოუწერელია, ანუ კდევ შეუმოწმებელია სათანადო მოხელეთა მიერ, ასეთი ნაკლულეფანი საანგარიშო მასალა უკან უბრუნდება წარმომდგენელს შესასწორებლად და უკან გამოსაგზავნად ორის კვირის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც იგი ცნობას მიიღებს კონტროლისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, კონტროლის საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებით, საქმე უნდა მიმართულ იქმნას მე-93 მუხლში ნაჩვენების წესითა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

75. ანგარიშების მიმოხილვის დასრულებისა და ამ მიმოხილვის დროს აღმოჩენილ ნაკლულეფანების მოშორების შემდეგ, კონტროლი იწყებს სახაზინო თანხებისა, ქონებათა და სპეციალ ღონისძიებათა კატეგორიის ფულისა და დეპოზიტების რევიზიას იმ წესის დაცვით, რაიცა მოხსენებულია 25—38 მუხლებში.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

76. რევიზია—ქმნილი ანგარიში უნდა განბჰობილ იქმნას სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს მიერ, რომელიც ამტკიცებს ოპერაციებს რა რაოდენობისაც უნდა იყოს, რაკი იგი ოპერაციებიც ცნობილი იქმნება, ვითა კანონიერი, წესიერი და ეკონომიური.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.



**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

77. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს ნება აქვს დაამტკიცოს ისეთი ხარჯი, არა უმეტეს სამასის თუმნისა ყოველ თითოეულ შემთხვევაში, რომლისათვისაც ყველა ფორმალური მხარე შესრულებული არაა ან იმიტომ, რომ ანგარიშ-ვალდებული პირი მოჰკვდა, ან კიდევ იმიტომ, რომ გარდაწყვეტილ მაზანდის ან-არსებობას გინა რაიმე სხვა საბატიო და შესაწყნარებელ მიზეზს ანგარიშ-ვალდებული დაწესებულება ან პირი დაუბრკოლებია ფორმალურ მხარეების შესრულებისათვის, და რომელი ხარჯიც ამიტომ ზოგად სარევიზიო წესით არ შეიძლება ცნობილ იქმნას მთლად გამართლებულად. დამტკიცება ამგვარი ხარჯებისა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მთავრობა დაამოწმებს, რომ ფული მოხმარებულ და დახარჯულ იქმნა დანიშნულებისასებრ და ნამდვილად საჭირო იყო მისი დახარჯვა; ხოლო თუ შემდეგში აღმოჩნდება, რომ ეგ დამოწმება სწორე არ იყო, მაშინ, გარდა პირადის პასუხის-მგებლობისა, დანახარჯი უნდა გარდახდეს იმას, ვინდ მოწმობა გასცა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

78. სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს უფლება აქვს: ა) დაამტკიცოს ამა თუ ამ ოპერაციაში მომხდარი გადამეტებული ხარჯი, გამოწვეული განსაკუთრებულის ვარემოებით, რაოდენობით არა უმეტეს სამასის თუმნისა, თუ ასეთს გადამეტებულს ხარჯს ჰფარავს იმავე ოპერაციაში დანაზოგი და გადარჩენილი ფული, გადარჩენილი ისე, რომ საქმეს არა ჰვნებია-რა; დაამტკიცოს აგრეთვე ისეთი ზედმეტი დანახარჯი, ამის შეუზღუდველად, როცა ცალკე კანონ-დებულებით გაგებულთ უფლება აქვთ მინიჭებული დაჰპარონ ზედმეტი ოპერაციის ერთის კერძობისა და ნაწილისა მის მეორე კერძობასა და ნაწილში დაზოგვითა, ჯამის განუსაზღვრელად; ბ) დაამტკიცოს ამა თუ იმ ოპერაციის ხარჯები სამას თუმნამდე, თუნდა ამ ხარჯებს თან ახლდეს უწესოდ გამოყენება სახარჯთ-აღრიცხვა წესებისა, ანუ უწესო მოქმედება ანგარიშ-დაკისრებულ დაწესებულებათა და პირთა, უკეთუ ამ გვარ წესის დარღვევით ნამდვილად ზარალი არა მოსვლია-რა ხაზინას, და გ) დასტოვოს პასუხის-გების აღუძვრელად ყოველ-გვარი უწესო ხარჯი, თუ მისი ჯამი წლის გაემაველობაში სამას თუმანს არ აღემატება თითოეულ პასუხის-მგებელ მოხელეზედ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

79. თუ ვინიცობაა რევიზიის დროს აღმოჩნდა ზარალი და ზიანი, გამოწვეული ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა განკარგულებითი და აღსრულებითი მოქმედებითა და თუ ეს მოქმედება ცნობილ იქნება, ვითა უკანონო, არა-წესიერი, ან არა-ეკონომიური, კონ-



ტროლი აუწყებს იმ დაწესებულებათა და პირთ სარევიზიო შენიშვნებს შათან ჯეროვანის ახსნა-განმარტების მისაღებად.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

80. სარევიზიო შენიშვნის მიღებისათანავე ანგარიშ-ვალდებული დაწესებულება თუ პირი მოითხოვს განმარტებას იმ თანამდებობის პირ-თან, რომელნიც შესაძლოა პასუხის-გებაში იქმნან მიცემულნი, თუნდ იგი მოხელენი იმ ეპოქა სამსახურში აღარც ირიცხებოდნენ, და აუწყებს კონტროლს ამ განმარტებას თავის დასკვნითურთ ერთის თვის განმავლობაში დღიდან სარევიზიო შენიშვნის მიღებისა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

81. თუ ანგარიშ-ვალდებული დაწესებულება, ან პირი კონტროლის შენიშვნის სისწორეს სცნობს, დაუკონებლივ ახდენს განკარგულებას.— შევსებულ იქნას მიყენებული ზარალი და ზიანი, რასაც აუწყებს კონტროლს წინა მუხლში (80) მოხსენებულს ვადაზედ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

82. თუ ვინიცობაა შეუძლებელია დაწესებულს ვადაზედ გაგზავნილ იქმნას ახსნა-განმარტება სარევიზიო შენიშვნის გამო, ანგარიშ-დაკისრებული დაწესებულება თუ პირი მოვალეა, ვიდრე ორის კვირის განმავლობამდე დღიდან ასეთის შენიშვნის მიღებისა, აუწყოს სახელმწიფო კონტროლს მიზეზი დაგვიანებისა და დასახელოს რამდენადაც შეიძლება მოკლე ვადა, ყოველ-შემთხვევაში დადებულ ვადის არა უმეტეს ერთის თვისა, რომელ ვადაზედაც მოთხოვნილი ახსნა-განმარტება იქმნება მის მიერ გაგზავნილი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

83. მიიღებს-რა დადებულ ვადაზედ სარევიზიო შენიშვნების შესახებ ახსნა-განმარტებას, კონტროლის საერთო საკრებულო დაამტკიცებს ოპერაციებს, თუ იგი ოპერაციები მის მიერ ცნობილ იქნა, ვითა კანონიერი, წესიერი და ეკონომიუთად წარმოებულნი. ხოლო ზარალისა და ზიანის რაოდენობას, რომელიც მოყენებულია ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა განკარგულებითი და აღსრულებითი მოქმედებით, ცნობით კონტროლის მიერ, ვითა უკანონო, არა წესიერი და არა-ეკონომიური, დაკისრებულ ანგარიშის-დანაკლისად დაადგენს.

**შენიშვნა:** ა) დადგენილება საერთო საკრებულოსი ანგარიშის — დანაკლისის დაკისრებისათვის 150 მანეთამდე საბოლოოდ ითვლება და განსაჩივრებას არ ექვემდებარება;

ბ) თუ ვინიცობაა აღმოჩნდა ახალი რამ გარემოება, ანუ სა-



ბუთი საკრებულოს მიერ გარდაწყვეტილ საქმის გამო, საკრებულოს უფლება აქვს ეგ საქმე გადასინჯოს და ახალი დადგენილება დაადგინოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

84. თუ სარევიზიო შენიშვნის გამო ახსნა-განმარტება არ მიუვიდა დადებულ ვადაზედ, საერთო საკრებულო იმ საბუთების ძალით სწყვეტს საქმეს, რაც საბუთები ხელთა აქვს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

85. სარევიზიო შენიშვნის შესახებ ახსნა-განმარტება, თუ სახელმწიფო კონტროლში მიღებულ იქმნა დადგენილ ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ საკრებულოში საქმის განხილვამდე, საქმის გადაწყვეტის დროს უნდა ყურადღებაში იქმნას მიღებული კონტროლის მიერ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

86. საერთო საკრებულოს მიერ ანგარიშის დანაკლისის დაკისრებისათვის დასკვნის გამოსატანად დადებულია ერთის თვის ვადა დღიდან სარევიზიო შენიშვნის შესახებ ახსნა-განმარტების მიღების კონტროლში ან, თუ ეს ახსნა-განმარტება ვადაზედ არ იქმნა მიღებული, დღიდან ამის ვადის გასვლისა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

87. დასკვნა საერთო საკრებულოსი ანგარიშის-დანაკლისის დაკისრებისათვის უნდა ეუწყოს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსს ან ანგარიშ-ვალდებულ პირის მახლობელ მთავრობას განკარგულების მოსახდენად. რათა დანაკისრები ანგარიშის—დანაკლისი გადახდევინებულ იქმნას; ხოლო თუ პასუხის-გება ანგარიშის—დანაკლისისათვის უმთავრეს განმკარგულებელთ (მინისტრებს) ედება, ზემოხსენებულ საკრებულოს დადგენილება წარედგინება საკანონმდებლო დაწესებულებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

88. ანგარიშის—დანაკლისის შესახების დასკვნის მიღების შემდეგ ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსი, ან ანგარიშ-დაკისრებულ პირის მახლობელი მთავრობა, კუთვნილებისამებრ, აუწყებს სახელმწიფო კონტროლს ერთის თვის განმავლობაში დღიდან დასკვნის მიღებისა, ეთანხმება თუ არა ამ დასკვნას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს):

89. თუ ანგარიშ ვალდებულ დაწესებულების უფროსი ან ანგარიშ-ვალდებულ პირის მახლობელი მთავრობა, კუთვნილებისამებრ, ეთანხმე-



მა სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დასკვნას ანგარიშ-  
შის-დანაკლისის დაკისრების შესახებ, მაშინ საქმეს შემდეგი მსვლელო-  
ბა ეძლევა თანახმად 130—141 მუხ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

90. თუ ვინიცაბაა უფროსი ანგარიშ—ვალდებულ დაწესებულე-  
ბისა, ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშ-ვალდებულ პირისა არ ეთან-  
ხმება კონტროლის საერთო საკრებულოს დასკვნას ანგარიშის-დანაკ-  
ლისის დაკისრების შესახებ, მთლად ან ნაწილობრივად, იგი უფროსი  
გინა მთავრობა, კუთვნილებისამებრ, საქმეს ჰგზავნის, განსაჩივრების  
წესით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში და თან  
დაურთავს დაწვრილებით ანუსხულს იმ მიზეზებს, თუ რა მიზეზითაც  
შესაძლოდ ვერ სცნობს დაეთანხმოს დასკვნას ანგარიშის-დანაკლისის  
დაკისრებისათვის. თუ უთანხმოება შეეხება დანაკისრებ ანგარიშის-დანაკ-  
ლისის მხოლოდ ნაწილს, უდავო მისი ნაწილი უნდა მოიპართოს გა-  
დასახდევინებლად. თუ როდის გაიგზავნა განსაჩივრების წესით საქმე  
სასამართლოში. უნდა ეუწყოს სახელმწიფო კონტროლიორს განსაჩივ-  
რების პირის დართვითურთ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინამდებელი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

91. იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია მე-88 მუხლ.  
ში, თუ განსაჩივრება არ იქმნა დაწყებული, დადგენილება ანგარიშის-  
დანაკლისის დაკისრების შესახებ ძალაში შედის, რასაც სახელმწიფო  
კონტროლი აუწყებს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსს, ანუ  
მახლობელ მთავრობას ანგარიშ-ვალდებულ პირისას, კუთვნილებისა-  
მებრ, რათა განკარგულება მოახდინონ დანაკისრებ ანგარიშის-დანაკ-  
ლისის გარდასახდევინებლად.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს):

92 რასაც სასამართლო დაწესებულება გადასწყვეტს სახელმ-  
წიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილების განსაჩივრე-  
ბისათვის, იმისი პირი სასამართლომ სახელმწიფო კონტროლიორს უნ-  
და აუწყოს აღსასრულებლად.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

93. თუ ვინიცაბაა ანგარიშების რევიზიის დროს განმკარგულე-  
ბელთა გინა აღმასრულებელთა მოქმედებაში აღმოჩენილ იქნა ნიშნები  
ბოროტ-განზრახულებისა, სახელმწიფო კონტროლიორი საქმეს მიმპარ-  
თავს სამოსამართლო პალატის პროკურორისადმი ანუ საშხედრო პრო-  
კურორისადმი, კუთვნილებისამებრ: ხოლო თუ საქმე აღმასრულებელ  
ხელმწიფების უმთავრეს განმკარგულებელთ (მინისტრებს) შეეხება, სა-



ხელმწიფო კონტროლიორს ამაზედ საკანონმდებლო დაწესებულებაში შეაქვს მოხსენება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

94. წინა მუხლში (93) მოხსენებული წესი საქმის დაწყებისა თანამდებობის პირთ პასუხის-გებაში მიცემისათვის სახელმძღვანელოა იმ შემთხვევაშიაც, როცა ექვს-ქვეშ დაყენებულს თანამდებობის კაცს თავი დაუნებებია სამსახურისათვის, ან სხვა უწყებაში გადასულა. ორსავე შემთხვევაში საქმეს აღძრავს სახელმწიფო კონტროლი, რომელიც მისწერს იმ უწყებას, საცა აღგილი ჰქონდა საეჭვო მოქმედებას, და აგრეთვე მიჰმართავს სათანადო საპროკურორო ზედამხედველობას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

95. ცნობანი იმის შესახებ, რომ საეჭვოდ მიჩნეულნი თანამდებობის პირნი სამართალში იქმნენ მიცემულნი, ან რომ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მოსპობილ იქმნა, იმ პირთა მთავრთბამ სახელმწიფო კონტროლიორს უნდა აუწყოს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

96. იმ საქმეების გამო, რომელიც წარმართულია სასამართლოში საწარმოებლად, სახელმწიფო კონტროლის ვალია აღრიცხოს, იმ საბუთების მიხედვით, რაც ანგარიშებში მოიბოცება, რა ზარალი და ზიანი აქვს მიყენებული ხაზინას, რომელიც უნდა გადახდევინებულ იქმნას. ცნობანი ამ ზარალის ზომის შესახებ. უნდა ეუწყოს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათ; აგრეთვე, საპროკურორო ზედამხედველობის საშუალებით სასამართლო დაწესებულებასაც.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგ.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

97. თუ ვინიცობაა მოისპო სისხლის სამართლით დაწყებული საქმე, აგრეთვე თუ სასამართლომ გაამართლა სისხლის სამართლით პასუხის-გებაში მიცემულნი თანამდებობის პირნი, ხაზინისადმი მიყენებულ ზარალისა და ზიანის საქმე შემდეგს მსვლელობას სარევიზიო წესით მიიღებს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

### თ ა ვ ი ძ ე ს ა ძ ე

#### ფაქტიურის რევიზიისათვის

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

98. როცა ფაქტიური რევიზია სწარმოებს, სახელმწიფო კონტროლს უფლება აქვს, თავის უწყების მოხელეთა სახით:



ა) დაესწროს საჯარო ვაჭრობისა და შეჯიბრების წარმოებას;

ბ) შეამოწმოს სინაღდე ნივთიერის ქონებისა (საინვენტაროსი და სახარჯოსი) საცავეებში და ფულის თანხებისა — კასებსა და ცალკე მოხელეთა ხელში;

გ) შეამოწმოს ნამდვილი რაოდენობა სახაზინო ულუფაზედ მყოფთა, აგრეთვე ჯარების ნაწილებისა, სამხედრო უწყების მართველობათა დაწესებულებათა და მიმართულობათა;

დ) დაესწროს შემოწმებასა და მიღებას შესრულებულ აღგებულებათა და სამუშეოთა. აგრეთვე შექნილ მასალებისა და საზოგადოდ ყოველგვარ ქონებას გამოცდის შემოწმებასა და მიღებას.

ე) შეამოწმოს ცნობანი, რომლის საფუძვლითაც იანგარიშება საქმე და ნაშუშევარი, შეამოწმოს რამდენი არის ნამდვილად მუშა-მოსაქმე და დათვალიეროს საქმე და ნაშუშევარი მისი წარმოების ყოველ დროს;

ვ) დაესწროს, როცა დროგამოშვებით ქონების დათვალიერება სწარმოებს, როცა ქონება ერთის პირისაგან მეორეს გადაეცემა, როცა აღგენენ ოქმებს იმის დასამოწმებლად, რომ ქონება საჭირო არაა, უფარვისია ან შესაკეთებელი და გასახლებელია, აგრეთვე დაესწროს, როცა ქონებას ხელახლად შეაფასებენ და მოსპობენ;

ზ) დაესწროს, როცა ადგილობრივ იძიებენ ზარალის რაოდენობას, რომელიც წარმომდგარია არა-ჩვეულებრივ გარემოებისაგან;

ც) დაესწროს, როცა სწარმოებს საცდელი გასინჯვა საფარგლო ნორმების დასაწესებლად გინა სხვა მიზნისათვის;

თ) საზოგადოდ აწარმოვოს გასინჯვა და შემოწმება და დაესწროს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას, რომელიც შეეხება მათ მიერ წარმოებულ ოპერაციათა აღსრულებას და ამ ოპერაციებთან დაკავშირებულ ტრიალს თანხებისა და ქონებისა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

99. ანგარიშ-ვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი მოვალენი არიან აღმოუჩინონ კონტროლის მოხელეთ, ფაქტიურ ოფიციისათვის გაგზავნილთ, ყოველგვარი შემწეობა, რათა იმათ წარმატებით შეასრულონ თვისი დაკისრებულნი მოვალეობანი.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

100. ფაქტიურს რევიზიას აწარმოებენ სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ან სახელმწიფო კონტროლიორის მინდობილობით, ან განმკარგულებელ მართველობათა შეტყობინებით.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

101. კასებისა და ნივთიერ ქონების მუდმივ საცავთა ფაქტიური



რევიზია, როცა იგი ნათავებია სახელმწიფო კონტროლის მიერ, სწარმოებს თანხათა თა ქონებათა პასუხის-მგებელ მცველთა, ანუ მათგან-გაერთა თანადასწრებით. ფაქტიური რევიზია სააღმშენებლო და სხვა ოპერაციებისა, აგრეთვე ნივთიერ ქონებისა დროებითის საცავისა სწარმოებს იმ მოხელის თანადასწრებით, რომელიც აღმოჩნდება ფაქტიურ რევიზიის ადგილას მათ შორის, ვისაც აბარიათ ხელმძღვანელობა შესამოწმებელ სამუშაოთა ანუ ვინც ჰხედამხედველობენ ამ სამუშაოებს, და თვალყურს უგდებს, რათა რევიზიის ქვემდებარე ქონება დაცული იყოს.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე,** (კითხულობს).

102. უწყებანი იმისი, თუ როდის დაიწყება ვაჭრობა, შემოწმება, ჩაბარება და მებრვე სხვა, უნდა გაეგზავნოს კონტროლს ან ადგილობრივ ფაქტიურ კონტროლის წარმომადგენელთ წინდაწინვე და ყოველ შემთხვევაში იმ ვარაუდით, რომ კონტროლის თანამდებ მოხელეებს შეეძლოთ მისვლა მათის წინამდებარე მოქმედების ადგილას იმ დროისთვის, რომელიც მოხსენებულია უწყებაში.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

103. ყოველი არა-ჩვეულებრივი შემთხვევა (მაგალითად, უცარი სიკვდილი, ქუუზედ შეშლა, გაუგებინებლად და დაუკითხავად წასვლა სადმე იმისი, ვისაც ებარა დაცვა ქონებისა, აღმოჩენა გაფლანგვისა, ქონების გატაცება, ცეცხლის გაჩენა და მებრვე სხვა) და საზოგადოდ ყოველი ისეთი შემთხვევა, როცა მიზეზი და რაოდენობა ხაზინისადმი მიყენებულ ზარალისა შესაძლოა აღნუსხულ იქმნას მხოლოდ იმ დროსვე, როცა ეს ზარალი იქმნა მიყენებული, უწყება კონტროლს უნდა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ, მაშინვე, მოჰხდა თუ არა შემთხვევა; თუ კონტროლი ახლო არ არის იმ ადგილიდან საცა მოჰხდა ასეთი შემთხვევა, უწყება ტელეგრაფით უნდა გაეგზავნოს.

დანიშნულ დროზედ მიუსვლელობა კონტროლის წარმომადგენლისა იქ, საცა მიუწოდებდნენ, ვერ შეაყენებს განმკარგულებელ მართველობის მოხელეთა განზრახულ მოქმედებას,

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

104. როცა სწარმოებს შემოწმება და მიღება სხვა და სხვა საგნებისა მასალისა და სამუშაოსი, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ამოწმებენ ყველა ამის ნამდვილად არსებობას, რაოდენობას, წონას და ზომას, აგრეთვე იმას, შეესაბამება თუ არა შესამოწმებელი საგნები, მასალა და სამუშაო ყველა პირობებს მასალის დამზადებისა გინა სამუშაოთა წარმოებისას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? შემდეგი.





**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

105. ნამუშევართა და დამზადებულ მასალათა და საგანთა სების და ტექნიკურ თვისებების დაფასება ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებების მოხელეთა მოვალეობაა და ამ მხრივ სრული პასუხისმგებლობა იმათ აქვთ დაკისრებული. თუ ვინიცობა სახელმწიფო კონტროლის მოხელეებმა სცნეს, რომ ნამუშევარი, მასალა და საგნები არა კმაყოფილი ან არ შეესაბამება სატექნიკო პირობათა და მოთხოვნილებათ, ზემოხსენებულ მოხელეებს ვალად ერაცხვის აღძრან თავის მთავრობის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ საქიროა ხელმეორედ შემოწმება ნამუშევარისა ანუ ხელ-ახალი გამოცდა მასალებისა და საგნებისა მკოდნე კაცთა თანადასწრებით.

**თავმჯდომარე.** მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

106. როცა შესამოწმებელია სამუშაო ძალა, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი უნდა დარწმუნდნენ, რამდენი რიცხვია მუშებისა დაყენებული საქმეზედ, იმ სამუშაოს ასრულებენ და იმ ფასად, რაც ნაჩვენებია ტაბულებში, მუშათა სიებში გინა სხვა შესაფერ საბუთებში, თუ არა. ამასთანავე კონტროლს ნება აქვს შევიდეს იმის გასინჯაში, თუ, რა ღირსებისა და რაოდენობისაა შესრულებული სამუშაო და ეს გარემოება დაუკავშიროს იმას, თუ რამდენი დროა სამუშაოზედ დახარჯული.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

107. როცა ფაქტიური რევიზიაა სააღმშენებლო ობერაციების სახელმწიფო კონტროლის მოხელენი უნდა დარწმუნდნენ: ა) ნამდვილად შესრულებულია ის საქმე თუ არა, რომლის დამოწმებაც ფაქტიურ რევიზიის ფარგალში შედის; ბ) შეესაბამება თუ არა ნამუშევარ ნამოქმედარი იმ პირობათ, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს, და გ) ეთანხმება თუ არა საბუთების ცნობები სინამდვილეს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე,** (კითხულობს)

108. თუ უთანხმოება დაიბადა წარმომდგარი შესამოწმებელ საგანთა, მასალათა, სამუშაოთა, ან აღგებულებათა მიღებისა ანუ შემოწმების დროს, უნდა გადაწყდეს ამ საგნებისა, მასალებისა, სამუშაოთ. ანუ აღგებულებათა ხელ-მეორედ შემოწმებით; ამ შემოწმებაში მონაწილეობისათვის კონტროლი მკოდნე კაცებს შიიწვევს, თუ ატეხილი უთანხმოება ვერ გათავდა ანგარიშ ვალდებულ დაწესებულების უფროსისა და კონტროლის წარმომადგენელის ურთ-ერთ შორისმორიგებით, საქმე გადასაწყვეტად გადადის ცენტრალ განმარგულებელთა და კონტროლის დაწესებულების ხელში, ამათვე გადაეცემა ხელმეორედ შემოწმების ოქმებიცა და აგრეთვე მკოდნე-კაცთა დასკვნაცა. ყოველთვის,



როცა აღიძვრის საკითხი ნაწარმოებთა ღირსების შესახებ კონტროლის წარმომადგენლებმა უნდა აიღონ ნიმუშები ნუშლ-სურსათისა და თითო ცალი—ნივთი შემოწმებულის ქონებისა და დაბეჭდონ თავის დაქ-ბეჭდითა და იმათი ბეჭდითაც, ვინც განაგებენ ქონებას. ხსენებულ ნიმუშები და ცალი-ნივთები შემოწმების ოქმთან ერთად ეგზავნება შემოწმებულ დაწესებულების პირდაპირს მთავრობას.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

109. თუ საკრებულომ, რომელიც აწარმოებს საჯარო ვაჭრობას გინა შეჯიბრებას, უყურადღებოდ დასტოვა კონტროლის წარმომადგენლის განცხადება კანონის, გინა დადგენილ წესების დარღვევის ან გვერდის—ახვევის შესახებ, კონტროლის წარმომადგენელი, როცა ხელს მოაწერს ვაჭრობისა ანუ შეჯიბრების ოქმს, დანამდვილებით აღ-ნიშნავს, სახელდობრ რითი გამოიხატა კანონისა, ანუ დადგენილ წესის დარღვევა თუ გვერდის—ახვევა და ამ ამბავს აცნობებს თავის მთავრობას

**თავმჯდომარე** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

110. კასებისა და ქონების საცავთა წინასწარ დაბეჭდვის დროს, როცა ეს რევიზიისათვის საჭირო იქნება, აგრეთვე თვით ფაქტიურ რევიზიის წარმოების დროს, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ჯეროვანს ღონისძიებას იღებენ, რომ რამდენადაც-კი შეიძლება, არ შესდგეს ჩვეულებრივი საქმიანობა ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

111. როცა ფაქტიური რევიზია სწარმოებს კასებისა და მუდმივ-თა საცავთა, როგორც სინვენტარო, ისე სახარჯო ქონებისა, პასუხის-მგებელ შემნახავთა გარდა, შესაძლოა მოწვეულ იქმნან დასასწრებლად ამ უწყების წარმომადგენლნი, რომელსაც ამოწმებენ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს).

112. თუ კასები და მუდმივი საცავნი ქონებისა-იქ იმყოფება საცა არიან განმკარგულებელნი მართველობანი, რომელთაც პირდა-პირ ექვემდებარება კასები ანუ საცავნი, მაშინ შესამოწმებელ უწყების წარმომადგენლებად უნდა მიწვეულ იქმნან უფროსნი შესამოწმებელ მართველობათა: უფროსებს ნება აქვთ თავიანთ მაგიერ გაგზავნონ ფაქტიურ რევიზიაზედ დასასწრებლად თვისნი ხელ-ქვეითნი მოხელენი.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

113. როცა შესამოწმებელია სამხედრო უწყების ქონება, ამ უწყების წარმომადგენლის მოსაწვევად სახელმწიფო კონტროლის მო-ხელენი მიჰმართავენ სათანადო სამხედრო მართველობას, თუ საცავი



ქონებისა ამ მართველობის სამყოფელ ადგილის, ფარგლებშია, ხოლო თუ შემოწმება უნდა მოხდეს გარეშე მის სამყოფელ ადგილისა მაშინ უნდა მიჰმართონ იმ ადგილის სამხედრო უფროსს, ანუ მის შტაბს (მართველობას.)

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

114. არ დასწრება იქ, საცა კასა ანუ ქონების საცავია, იმისი, ვინც მოწვეულია, როგორც წარმომადგენელი შესამოწმებელის უწყებისა, ან არ მისვლა მისი იმ დროისთვის, როცა დანიშნულია შემოწმება, აგრეთვე მოუხერხებლობა მოწვევისა კასისა ანუ ქონების საცავის ადგილ-მდებარეობის პირობათა მაზეზით გამოწვეული, ვერ დააბრკოლებს შემოწმების წარმოებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

115. შემოწმება კასისა სწარმოებს ფულის ნიშნებისა და ფასეულობის დათვლითა. ამ საზოგადო წესს არ ექვემდებარება დროებით შესანახად ხაზინის საკუქნაოში გადაცემული ფული, დაცული ყუთებში, სკავრებსა და პაკეტებში, თან დაბეჭდილი იმ დაწესებულების ან კაცის ბეჭდით, ვინც გადასცა შესანახად. ამგვარ ფულისთვის რევიზიის მწარმოებელნი ამოწმებენ მხოლოდ, მთელია თუ არა ყუთი, სკივრი და პაკეტი, აგრეთვე მათზე-დაკრული ბეჭედი და ეთანხმება თუ არა ამ ყუთ—სკივრ—პაკეტთა რაოდენობა იმ ციფრებს, რომელიც მიღების დავთრებშია აღნიშნული.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

116. თუ კასებსა და ქონების საცავში შესამჩნევად ბევრია ფულის ნიშნები და ფასეულობა, აგრეთვე ნივთები და მასალები, სახელმწიფო კონტროლის მოხელეებს ნება აქვთ დასთვალონ მხოლოდ რამოდენიმე ნაწილი. დანარჩენი ნაწილი ფულის ნიშნებისა და ფასეულობისა შესაძლოა შემოწმებულ იქმნას აწონით, პარკების დათვლით დასტობით და მებრვე სხვა. თუ ამ დროს შიგა და შიგ გასინჯულ რომელსამე პარკსა ანუ დასტაში აღმოჩნდება მეტი ან ნაკლები, ვიდრე უნდა ყოფილიყო, მაშინ კონტროლის მოხელენი მოვალენი არიან დარწმუნდნენ, სწორედ რამდენია სულ ნაღდი ფული, ფასეულობა, ნივთეულობა და მასალები: დარწმუნდნენ იმ გზითა და წესით, რომელსაც უფრო მიზანშეწონილად დაინახავენ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

117. იმის ოქმები, თუ რა შედეგები მოჰყვა ფაქტიურს რევიზიას, იქვე ადგილობრივ უნდა შესდგეს და ხელ-მოწერილ იქმნას ყველა დამსწრეს მიერ. ოქმების შედგენა სავალდებულოა, როცა რევიზია

შეეხება კასის და ქონებათა მუდმივ საცავს, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევებში, როცა რაიმე უწყესობა ან დაუდევრობა იქმნება შემწეული. ყოველ სხვა დანარჩენ შემთხვევებში ცალკე ოქმების სანაცვლოდ შესაძლოა სათანადო საბუთებს წაეწეროს შედეგი რევიზიისა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

118. როცა ფაქტიური რევიზიაა თანხების და ქონების სინაღლისა, საჭიროა, გარდა ოქმების შედგენისა, საცა აღნიშნული იქნება შედეგი რევიზიისა, გაკეთდეს წარწერა დავთრებშიაც, რომლების მიხედვითაც იქმნა დასკენილი, თუ რაოდენი უნდა ყოფილიყო ნაღდად თანხები და ქონება.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

119. იმ შემთხვევაში, როცა კასებისა და ქონების საცავთა რევიზიის დროს აღმოჩნდება, რომ ფულს და ქონებას აკლია, მასალა უვარგისია, ნაკლულევანება და უჯერობა ეტყობა დაცვის წესსა და რიგს ანუ საზოგადოდ რაიმე უწყესობა და დაუდევრობა იქმნება შემწეული, სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ადგენენ ამის გამო ოქმს, ხელს აწერიანებენ დამსწრეთ და დაუყოვნებლივ აცნობებენ თავის მთავრობას, რომელიც თავის მხრივ აუწყებს კასისა ანუ ქონების საცავის მთავრობას, რათა მან ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს.

თუ ვინიციობა კასისა, საწყობისა ან მალაზის რევიზიის დროს აღმოჩნდა ქონება იმაზედ მეტი, რაც დავთრის ანგარიშებით უნდა იყოს, ეს ზედ-მეტი იქვე იწერება რევიზორის მიერ შემოსავლად, როგორც სახაზინო საკუთრება, და აღინიშნება ოქმშიაც, რომელსაც ზედ დავთრის განმარტებაცა იმისი, ვინც განაგებს ქონებას, თუ რა მიზეზით წარმოსდგა ის ზედ-მეტი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

120. თუ ფაქტიური რევიზია მოჰხდა არა სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა თაოსნობით, არამედ განმკარგულებელ მართველობათა თხოვნითა და შეტყობინებით, მაშინ სათანადო ოქმების შედგენა მოვალეობაა ანგარიშ—ვალდებულ დაწესებულებების მოხელეებისა. ამ შემთხვევაში ოქმებს ხელს აწერენ წარმომადგენლნი კონტროლისა დანარჩენ დამსწრებთან ერთად.

121. თუ კონტროლის წარმომადგენელი თანახმა არ არის იმ ოქმის შინაარსისა, რომელიც შეადგინეს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებების მოხელეებმა, მას შეაქვს თავისი დასკვნა იმავე ოქმში ხელის-მოწერისათანავე და ზედ-მიწვენილობებით აღნიშნავს, სახელდობრ რა და რა ცნობა ოქმისა მიაჩნია როგორც უსწორო და სინამდვილის შეუსაბამებელი.



**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

122. ფაქტიურის რევიზიის არც ერთს დამსწრე მოხელეს ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებისას უფლება არა აქვს უარი სთქვას იმ ოქმის ხელის-მოწერაზედ, რომელიც შედგენილ იქმნა სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

123. თუ ის, ვინც მოვალეა ხელი მოაწეროს ოქმს, რომელიც შედგენილია სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ, არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, იგი ვალდებულია მოიხსენიოს ეს გარემოება ხელის მოწერისათვის და ზედ-მიწევნით აღნიშნოს, სახელდობრ რა და რა ცნობანი ოქმისა მიაჩნია, როგორც უსწორო და სინამდვილის შეუსაბამებელი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

124. ოქმში მოხსენებულნი ცნობანი, რაკი რგი ოქმი ხელ-მოწერილია სახელმწიფო კანტროლისა და ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების მოხელეთა მიერ იმის აღუნიშვნელად, თუ ვინ რასა და რაში არ ეთანხმება ოქმს, შემდეგში აღარ შეიძლება უარ-ყოფილ იქმნას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ატყდება დავა სიყალბის ჩადენისათვის.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

125. კონტროლის წარმომადგენელთა ვანცხადებისამებრ იმათ ეძლევათ შემოწმებული პირი იმ ოქმებისა, რომელიც შედგენილია ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების მოხელეთა მიერ. ასეთივე პირი ოქმებისა, რომელიც შედგენილია სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა მიერ, ეძლევათ, ვანცხადებისამებრ, ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათ კონტროლის მიერ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

### **თავი მეოთხე.**

შედეგებისათვის სარევიზიო ანგარიშის-დანაკლისის დავისრებისა.

### **განყოფილება პირველი.**

**სარევიზიო ანგარიშის დანაკლისის უზრუნველყოფის წესისათვის.**

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

126. ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსი ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშ-ვალდებულ პირისა მოვალეა მიიღოს და-

ნისძიებანი არა უგვიანეს ორის კვირისა, დღიდან კონტროლისაგან ამის ცნობის მიღებისა (მუხ. 87), რათა უზრუნველყოფილ იქმნას დანაკისრებ ანგარიშის—დანაკლისის გადახდევინება, თუნდა განსაჩივრებულიც იყოს ეს დადგენილება.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

127. ღონისძიებად ანგარიშის—დანაკლისის წინასწარვე უზრუნველყოფისათვის ჩაითვლება: ა) შეკვრა უძრავის ქონებისა; ბ) დაკავება მოძრავის ქონებისა; ბ) გამორიცხვა ჯამაგირიდან, პენსიიდანა და სხვა შემოსავლიდან; დ) შეჩერება ხაზინიდან კუთვნილის ფულის მიცემისა იმისთვის, ვისაც დაეკისრა ანგარიშის—დანაკლისი და, ე) თავთებობა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

128. შეკვრა ქონებისა და მისი დაკავება, როგორც აგრეთვე გამორიცხვა ჯამაგირ-პენსიიდან და სხვა ვარდაკვეთილ მისაცემიდან, სწარმოებს იმ წესთაგან, რომელიც მოხსენებულია ხაზინის უდავო საქმეთა გამო გადახდევინების დებულებაში (კანონ. კრებ. ტ. XVI, ნაწ. მეორე, გამოც. 1910 წლ.); თავდებობის შესახებ—კი სახელმძღვანელოა ის წესები, რომელიც მოხსენებულია სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაში.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

129. ის ფული, რომელიც შემოდის ანუ დაქერილია ანგარიშის—დანაკლისის უზრუნველ-საყოფელად, ვიდრე საქმე გარდაწყდებოდეს, იგზავნება გამგე მართველობის მიერ ხაზინაში, რათა იქ ჩარიცხულ იქმნას ამ მართველობის დებოზიტად; ხაზინა, თუ რამ განკარგულება იქმნა შემოსული ამისთანა დებოზიტებისათვის, ვერას იქმნა დაუკითხავად და დაუდასტურებლად კონტროლისა, რომელმაც დააკისრა ანგარიშის—დანაკლისი ფული, იმათ განცხადების თანახმად, ვისგანაც იგი შემოვიდა ანუ ვისაც დაუქირეს, შესაძლოა პროცენტიან ქაღალდებად იქმნას გადაქცეული.

**თავმჯდომარე.** ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

### განყოფილებებ მეორე.

გადახდევინებისათვის სარევიზიო ანგარიშის—დანაკლისის.

130. ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსი და მახლობელი მთავრობა ანგარიშ-ვალდებულ პირისა, კუთვნილებისამებრ, მოვალენი არიან ორ კვირაში იმ დღიდან, როდესაც კონტროლს აცნო-

ბეს თვისი თანხმობა დასკვნისა ანგარიშის—დანაკლისის დაკისრების შესახებ (მუხ. 88-99) ანუ იმ დღიდან როცა მიიღეს კონტრაქტის უწყება, რომ ანგარიშის დანაკლისის შესახებ დადგენილება ძალაში შევიდა (მუხ. 91), მოახდინონ ყველა საჭირო განკარგულება, რათა გარდახდებულ იქმნის დანაკისრები.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

131. სარევიზიო ანგარიშის—დანაკლისის დაკლებით შემოსვლი პასუხის-გება ედება თანამდებობის პირთ, თუ ეს ნაკლებად შემოსვლა მოჰხდა მათის დაუდევრობისა და უყურადღებობისა მიზეზით, გარდა იმ შემთხვევათა, როცა კანონებსა და ცალკე დებულებებში მოიპოვება ზედმიწევნითი ცნობა იმისი, თუ ვინ არის, თანამდებობის პირთა გარდა, პასუხის-მგებელი შემოსავლის დაკლებით შემოსულისათვის.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

132. სარევიზიო ანგარიშის—დანაკლისის საქმეში, თუ უწყსოდ იქმნა გაცემული ფული ანუ ქონება, პასუხისგება ედება იმ თანამდებობის პირთ, ვისი ბრალიც იყო უწყსოდ გაცემა. ასეთს საზოგადო წესს არ ექვემდებარება ისეთი შემთხვევა, როცა უსწოროდ გაცემულია ჯამაგირი ან სხვა გვარი ულუფა, რომელიც განსაზღვრული არის ჯამაგირის გარდაკვეთილებით ანუ დაწესებული ნორმებით. ისეთი განაცემი გარდახდება იმათ, ვინც მიიღეს, ანუ ანაზღაურებულ იქმნება იმ თანხებიდან, საცა შეცდომათ შეირიცხა; გარდა იმ შემთხვევაში, როცა გაცემულია ზედ-მეტი ულუფა ჯარის-კაცებზედ, მუშა-კაცებზედ და მებრვე სხვა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია გადახდენინო ზედმეტად მიცემული მიმღებს, მაშინ ანგარიშის—დანაკლისის პასუხის-გება ედებათ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოხელეებს, რომელთა ბრალიც იყო, რომ არა—სწორედ გაიცა ულუფა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

133. განაწილება გადასახადისა, რომელიც ერთისა და იმავე ანგარიშის—დანაკლისით რამდენსამე მოხელეს ედება, სწარმოებს მათის მთავრობის მიერ იმ ჯამაგირის შესაბამებით, რომელსაც იღებდნენ მაშინ, როცა ანგარიშის—დანაკლისის გამომწვევე საქმიანობას აწარმოებდნენ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

134. ქონებრივი პასუხის-გება იმ ზარალისათვის, რომელიც მიადგა სახაზინო თანხებს და ქონებას დაწესებულებათა დადგენილების მეოხებით, ედება იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღეს ხსენებულს დადგენილებაში,—დაწესებულების თავმჯდომარესა და წევრთ, და განაწილ-

დება მათ შორის იმ საფუძვლითა და წესით, რაც წინა (133) მუხლშია მოხსენებული.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

135. იმ მოხელეთ, რომელთაც სარევიზიო ანგარიშის—დანაკლისი დაეკისრა იმიტომ, რომ ნაკლებად შემოვიდა შემოსავალი, ანუ იმიტომ, რომ წესიერად არ გასცეს გასაცემი (მუხ. 181 და 132), ნება აქვთ, შემოსავლის დანაკლისი და ზედმეტი განაცემი სამართლით იძიონ იმათგან. ვინც ამით ისარგებლა ან მიიღო.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

136. გადახდევინება სარევიზიო ანგარიშის—დანაკლისისა სწარმოებს იმ წესთა დაცვით, რომელიც მოხსენებულია ხაზინის უდავო საქმეთათვის გადახდევინების დებულებაში.

**თავმჯდომარე.** მიღებულია შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

137. ის ანგარიშის—დანაკლისი, რომელიც დაეკისრა ისეთ საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ანუ კერძო საზოგადოებათა და ამხანაგობათ, რომლებსაც დავალებული აქვთ სახელმწიფო შემოსავლის მიღება ანუ ანგარიშისამებრ წარმოება სახელმწიფო ხარჯისა შესაძლოა ანაზღაურებულ იქნას იმ ფულიდან, რომელიც ხაზინიდან ეძლევა ამ დაწესებულებათ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

138. ანგარიშის—დანაკლისის გადახდევინებისათვის სათანადო ღონისძიების მიღებისათნავე (მუხ. 130), უფროსი ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებისა ანუ მახლობელი მთავრობა ანგარიშ-ვალდებულ ცალკე პირისა, კუთვნილებისამებრ, აუწყებს კონტროლს, რა ღონისძიება და საშუალება იქნა მიღებული ანგარიშის-დანაკლისის შესავსებლად, თან აღნიშნავს წოდებას, სახელს, მამის სახელს და გვარს იმათსას, ვისაც დაევალა ანგარიშის—დანაკლისის გარდახდა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

139. თუ ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულების უფროსმა ანუ მახლობელმა მთავრობამ ანგარიშ-ვალდებულ პირისამ, კუთვნილები-სამებრ, არ მიიღო ღონისძიება ანგარიშის—დანაკლისისათვის პასუხისმგებელთა გამოსარკვევად. სარევიზიო შენიშენისათვის განმარტების მისაღებად, ანუ ანგარიშის—დანაკლისის უზრუნველსაყოფად, ანუ მის შესავსებლად, თვით იგი დაწესებულება და იგი მთავრობა ითვლება პასუხისმგებლად ანგარიშის-დანაკლისისათვის.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.





**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

140. ის ფული, რომელიც გადახდევინებულ იქმნება ანგარიშის — დანაკლისისათვის ხაზინის ზარალის ასანაზღაურებლად, ჩარიცხულ უნდა იყოს სახელმწიფოს შემოსავალში, ან სათანადო კრედიტების აღსადგენად, თუ ანგარიშის — დანაკლისად ჩათვლილი ფული გადახდევინებულ იქმნა იმ ვადის განმავლობაში, როცა ის ხარჯთ-აღრიცხვა მოქმედებდა, რომლის მიხედვითაც იქმნა ის ფული უნებოდ გაცემული.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**ზრ რცხილაძე.** (კითხულობს).

141. გადახდილი ფული ანგარიშის — დანაკლისისათვის, რომელიც დაკისრებული იყო სპეციალ ღონისძიებათა დანაკლისის ასანაზღაურებლად, აგრეთვე საზოგადოებრივ და სხვა თანხების აღსადგენად, გარეცხულ უნდა იქნას იმ სპეციალ ღონისძიებათა და თანხებში, კუთვნილებისამებრ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს.)

142. საბოლოოდ დამტკიცებულ ანგარიშის — დანაკლისთა გამო, რომელთა შესავსებლად ფული ხაზინაში უნა იქმნას შეტანილი, კონტროლი თვალყურს ადევნებს, რომ გარდახდევინება თავის დროზედ სწარმოებდეს. შესახებ ამგვარისავე ანგარიშის — დანაკლისისა, რომლის გამო ფული გარდასახდევინებულია სპეციალ ღონისძიებათა ანუ საზოგადოებრივ ანუ სხვა თანხების შესამსებლად, კონტროლი აუწყებს იმ მართელობათა უფროსებს, რომელთა გამგებლობაშიაც არის მოხსენებული თანხები, ანუ აცნობებს საზოგადოებრივ დაწესებულებათ, გინა სხვებს, კუთვნილებისამებრ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

### კანეოფილება შესამე

#### სარევიზიო ანგარიშის-დანაკლისის ჩამოწრისათვის.

143. საბოლოოდ დამტკიცებულ ანგარიშის-დანაკლისები ჩაშლი-წერება: ა) თუ არავითარი იმედი არ არის, რომ შემოუევა ხაზინას, და ბ) თუ საერობო ხანგრძლივობა გავიდა.

**თავმჯდომარე** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე** (კითხულობს)

144. ანგარიშის-დანაკლისების ჩამოწერა იმ საფუძვლით, რომელიც წინა მუხლშია (143) მოხსენებული, სწარმოებს სახაზინო ნაშთ-გარდასახლთა ჩამოწრისა და გარდახდევინებისათვის კანონით დადგე-ნილ წესისამებრ, მაგრამ ხსენებულ წესით ხელმძღვანელობა არ შეიძ-ლება, თუ წინასწარ არ ეკითხა სახელმწიფო კონტროლს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.  
**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

### განყოფილება მეოთხე.

**საჩივრებისათვის ანგარიშის-დანაკლისთა დაკისრებაზედ.**

145. თანამდებობის პირს, რომელსაც საჩივრიზიო ანგარიშის-დანაკლისის გარდახდა დააკისრეს შეუძლიან განასაჩივროს მთავრობის განკარგულება ამ დაკისრების შესახებ სამის თვის განმავლობაში დღიდან ამ განკარგულების გამოცხადებისა; ხოლო თუ ეგ განკარგულება არ ყოფილა გამოცხადებული, მაშინ ამისთვის ვადა ითვლება იმ დღიდან, როცა სისრულეში იქნება მოყვანილი ეგ განკარგულება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

146. წინა მუხლში (145) აღნიშნული საჩივარი უნდა მიერთვას იმ დაწესებულებას, ანუ უფროსს, რომელმაც მოახდინა განკარგულება ანგარიშის-დანაკლისის გადახდევინებისა; საჩივარი იმ დაწესებულებამ ანუ უფროსმა თვისის დასკვნითურთ უნდა გაუგზავნოს ინსტანციის წესით მინისტრს ან მთავარ-გამგებელს ცალკე უწყებისას, კუთვნილებისამებრ, ერთის თვის განმავლობაში საჩივრის მიღების დღიდან. საჩივარი მინისტრის ან მთავარ-გამგებლის განკარგულებაზედ ამათვე უნდა მიერთვას რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დაწესებულების სახელზედ.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

147. თუ მინისტრმა ან ცალკე უწყების მთავარ-გამგებელმა საჩივარი ანგარიშის-დანაკლისის გარდახდევინების განკარგულებაზედ უსაფუძვლოდ სცნო, უშედეგოდ სტოვებს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს).

148. თუ მინისტრმა ან ცალკე უწყების მთავარ-გამგებელმა სცნო, რომ ანგარიშის-დანაკლისის გარდახდა შეცდომით დაპყრობილი მომჩივანს, განკარგულებას ახდენს ეგ დანაკლისი გარდახდეს იმას ვინც სცნა არს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

149. საჩივრის მირთმევა ანგარიშის-დანაკლისის გარდახდევინების განკარგულებაზედ ვერ შეაყენებს დანაკლისის გარდახდევინებას.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)



თავი მეხუთე.

კონტროლის მიერ წარმოებულ ანგარიშთა რევიზიის დასრულების ვადისა და წესისათვის.

150. დასრულება რევიზიისა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო განიხილავს და დაამტკიცებს მის შედეგს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

151. რევიზია ფულის ანგარიშებისა დასრულება: რევიზია საკასო განვლილ სამოქალაქო წლისათვის—არა უგვიანეს 1 ივლისისა საანგარიშო წლის შემდგომად; მოქმედებათა რევიზია არსებითად: შემოსავალთათვის განვლილ სამოქალაქო წლისა—არა უგვიანეს 6 თვისა საანგარიშო წლის შემდგომად; გასავალთათვის ჩვეულებრივი კრედიტებიდან სახარჯთ-ალრიცხვო დროისა შეღავათიანის ვადის დათვითურთ—არა უგვიანეს 6 თვისა იმ სახარჯთ-ალრიცხვო დროის შეღავათიან ვადის ვათავეების დღიდან ხარჯთ-ალრიცხვის დასრულებისა, ხოლო გასავალთათვის ბაზინის კრედიტორთა სიის მოქმედების დროისა—არა უგვიანეს 3 თვისა დღიდან იმ სიების მოქმედების დასრულებისა.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

152. რევიზია ნივთიერ ქონების ანგარიშთა უნდა დასრულდეს ერთსა და იმავე დროს, როგორც საკასო, ისე მოქმედების არსების მხრივ განვლილ სამოქალაქო წლისათვის ანუ ცალკე საანგარიშო პერიოდისათვის, თუ იგი პერიოდი ერთს წელზედ ნაკლები არ არის,—არა უგვიანეს 6 თვისა ამ პერიოდების გასვლის შემდეგ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

153. ტეხნიკურის ანგარიშის რევიზია უნდა დასრულდეს დამთავრებულ ოპერაციებისათვის არა უგვიანეს 6 თვის გასვლისა იმ დღიდან დაწყებული, როცა შესაფერი გასავლის ხარჯთ-ალრიცხვა დამთავრდა, და იმავე ვადის არა უგვიანეს, დღიდან ოპერაციის დამთავრებისა, თუ იგი ოპერაცია განგრძობილი იყო ხარჯთ-ალრიცხვის მოქმედების ვადის შემდეგაც.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე.** (კითხულობს)

154. ვიდრე საბოლოო დადგენილება იქნებოდეს მიღებული ამა თუ იმ რევიზიის დასრულება-დამთავრებისათვის, საერთო საკრებულოს დანიშვნით, ერთისა ან რამდენისანე მისის წევრის მიერ, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ რევიზიაში, მისი ხელმეორედ შემოწმება



გადასინჯვა ხდება, ამისათვის არჩეულ იქნება უფრო ისეთი ოპერაციები ან ცალკე მუხლები, რომელიც განსაკუთრებულის ყურადღების ღირსად **თავმჯდომარე**. მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე**. (კითხულობს)

155. თუ იმ შემოწმება-გადასინჯვის დროს აღმოჩნდება, რომ რევიზორს მიუჩნევია შესაფერად დამტკიცებისათვის ისეთი ოპერაციები და მუხლები, რომელიც არ შეიძლება წესიერად იქმნას ცნობილი, მიზინ, საერთო საკრებულოს დანიშნით და მის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში, იწარმოება განმეორებით შემოწმება ანგარიშისა. ეგ შემოწმება მიენდობა იმას, ვისაც პირველ რევიზიაში მონაწილეობა, არ მიუღია.

**თავმჯდომარე**. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გრ. რცხილაძე**. (კითხულობს).

156. შედეგი თითოეულის ხელმეორე შემოწმებისა იწერება საერთო საკრებულოს იმ ყურნალში, რომელიც რევიზიის დამთავრებას შეეხება, და იქ ინიშნება, ვინ აწარმოვა ხელმეორე შემოწმება და სახელდობრ რა იქნა ხელმეორედ შემოწმებული.

**თავმჯდომარე**. მიღებულია. შემდეგი.

**გრ. რცხილაძე**. (კითხულობს)

157. შედეგი როცა შესრულდება ეს ხელმეორე შემოწმება, საერთო საკრებულო დაადგენს გარდაწყვეტილებას რევიზიის დასრულებისას. ამ გარდაწყვეტილებაში უნდა აღნიშნული იყოს ჯამები შემოწმებული ოპერაციებისა მათის ასეთი განაწილებით: ა) რა იქმნა ცნობილი რევიზიით წესიერად და, მაშასადამე, შესაფერად დამტკიცებისათვის, ბ) რა ანგარიშის-დანაკლისები იყო დაკისრებული საერთო საკრებულოს წინანდელ გადაწყვეტილებით და ამ დანაკისრებში არ იქმნა შევსებული და რა არის შეუვსებელი. და გ) რა დარჩა რევიზიის მიერ დაუმთავრებელი კანონიერის მიზეზითა, მაგალითად, იმის გამო, რომ სარევიზიო ანგარიშები სასამართლომ მოითხოვა და ჯერ არ დაუბრუნებია, ან არ არის მოსული რევიზიის წარმოებისათვის დაწესებული ვადები და მებრვე სხვა.

**თავმჯდომარე**. ვინ არის წინააღმდეგი! მიღებულია.

**გრ. რცხილაძე**. (კითხულობს)

158. რევიზია იმისი, რაც დარჩენილია დაუმთავრებელი, უნდა დამტკიცდეს არა უგვიანეს 6 თვისა მას შემდეგ, როცა აცილებული იქნება მიზეზები, რამაც გამოიწვია მისი დაუმთავრებლობა.

**თავმჯდომარე**. მიღებულია შემდეგი.

**გრ. რცხილაძე**. (კითხულობს)

159. ხელ-ახლოდ შემოწმება უკვე დასრულებულს რევიზიისა შესაძლოა მხოლოდ ცალკე ნებართვით სახელმწიფო კონტროლიორისა თვითეთულს შემთხვევაში და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ აღმოჩნდება

ისეთი ახალი გარემოება, რომლის გათვალისწინება რევიზიის დროს შეუძლებელი იყო. თუ ხუთი წელია გასული რევიზიის დასრულების შემდეგ, ხელ-ახალი შემოწმება აღარ შეიძლება

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

160. რევიზიის დასრულებას სახელმწიფო კონტროლი აცნობებს სათანადო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ და უგზავნის კვიტანციებსა და უწყებს არა უგვიანეს ერთის კვირისა იმ დღიდან, როცა შესდგა დადგენილება საერთო საკრებულოსი რევიზიის დასრულების თაობაზედ.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

161. კვიტანციები დამოწმებაა იმისი, რომ რევიზია საკასო ანგარიშებისა ხაზინების და იმ ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა, რომლებიც აგროვებენ შემოსავალს სპეციალ ხარჯთ-ამკრებთა კასების უფლებით, დასრულებულია.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

162. უწყებანი ამოწმებენ იმას, რომ რევიზია ფულის ანგარიშებისა მოქმედებათა არსების მხრივ, ხოლო ნივთიერ და ტენიკურ ანგარიშთა რევიზია როგორც კასის მხრივ, ისე მოქმედებათა არსების მხრივ, დასრულებულია.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

163. კვიტანციები ეძლევათ გასულ სამოქალაქო წლისათვის, უწყებანი—ხარჯთ-აღრიცხვის პერიოდისათვის, აგრეთვე (დამატებით) სხვა დანარჩენ დროსათვის, რაც ხარჯთ-აღრიცხვის პერიოდს აღემატება.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

164. კვიტანციები და უწყებანი ეგზავნება კასებისა და ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა პირდაპირს უფროსს.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

165. კვიტანციები და უწყებანი ეგზავნებათ არა მხოლოდ მაშინ, როცა საანგარიშო მოქმედებანი რევიზიით სწორედ წესიერი აღმოჩნდება, არამედ მაშინაც, როცა მათში აღმოჩნდება დანაკარგი, უსწორობა ან დაუდევრობა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

166. კვიტანციებში ჩაირთვის ცნობები: რა ნაშთია, როდის იყო



მიღებული და რამდენი გაცემული, როდის იყო მორიგი და როდის უეცარი შემოწმება ქონებისა, კასისა და რა არსებითი შედეგები მოჰყვა ამ შემოწმებას.

**თავმჯდომარე.** მიღებულია. შემდეგი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

167. უწყებები შესახებ რევიზიის დასრულებისა შეიცავს: ა) ვისი და ვისი და რაოდენის თანხის ანგარიშებია შემოწმებული; ბ) რა ხნის განმავლობას შეეხება ეგ შემოწმება; გ) რომელ ხარჯთ-აღრიცხვას, ანგარიშებსა და თანხებს შეეხება; დ) რამდენი ფულია ანგარიშის—დანაკლისად დაკისრებული და ე) რა და რა თანხები დარჩა რევიზია-დაუსრულებელი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

168. კვიტანციები და უწყებანი შესახებ რევიზიის დასრულებისა იცავენ, დამტკიცებულ ანგარიშების ფარგლებში, ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათა და პირთ განახლებულ სარევიზიო ღვევისაგან; ვერ იცავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში; როცა უწყესო მოქმედება მათი თავს იჩენს შემდეგში; აღმოჩნდება—რა ახალი გარემოება, რომელიც რევიზიის დროს ვერ დაინახებოდა.

**თავმჯდომარე.** მიღებულია შეკვლევი.

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს)

169. თუ აღმოჩნდა, რომ ზარალი და ზიანი ხაზინისათვის დროზედ ვერ გამოაშკარავდა რევიზორების მიწვევით, რომელთაც გამოუმტლავნდათ კანონის საწინააღმდეგო საქციელი, მათ მიერ ჩადენილი იმ განზრახვით, რომ დაემალათ ანგარიშის—დანაკლისნი ან დამნაშავენი გაენთავისუფლებიათ გარდახდევინებისაგან, მაშინ დამნაშავე რევიზორები, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილებით, სამართალში მიეცემიან და, სისხლის სამართლით დადებულ სასჯელს გარდა, პასუხის-მგებელნიც არიან ხაზინისადმი ზარალის მიყენებისათვის. ეს პასუხის-გება ისპობა ბუთის წლის გასვლის შემდეგ დღიდან რევიზიის დასრულებისა (მუხ. 159).

**გ. რცხილაძე.** (კითხულობს).

# სახელმწიფო კონტროლის უწყებაში.



№ რიგზე	თანამდებობათა სახელწოდება	რაოდენობა	წლიური ფუნდამენტური ხარჯები	წლიური საბაზისური ხარჯები	წლიური საბაზისური ხარჯები
1	სახელმწიფო კონტროლიორი	1	18000	—	—
2	სახელმწიფო კონტროლერი	1	16200	—	—
3	საქმეთა დირექტორი	1	12000	12000	5000
4	სექციის გამგე	3	10800	32400	13500
5	უფროსი რევიზორი	25	9600	240000	100000
6	რევიზორი	47	3400	394800	164500
7	რევიზორის თანაშემწე	74	7200	532800	222000
8	მონაგარიშე მოხელე	58	6060	348000	145000
9	მდივანი	1	9600	9600	4000
10	უფროსი საქმ. მწარმოებელი	1	8400	8400	3500
11	საქმის მწარმოებელი	2	7200	14400	6000
12	რეგისტრატორი	1	6600	6600	2750
13	რეგისტრატორის თანაშემწე	3	6000	18000	7500
14	არქივარიუსი	1	6006	6000	2500
15	გადამწერი (6-მდე)	—	4800	28800	12000
16	კანცელ. მოხელ. (35-მდე)	—	5160	180600	75250
17	შიკრიკნი და დარაჯ. (25-მდე)	—	3192	79800	33250
18	საკანც. და სამეურნ. ხარჯები	—	—	69000	28750
19	ვათბობა და განათება	—	—	35700	15625
20	ბინის ქირა	—	—	36000	15000
21	შემწეობა მოსამსახურეთათვის	—	—	27000	11250
22	საგზაო ხარჯები	—	—	135000	56250
<b>ჯ ა მ ი . . . . .</b>		—	—	<b>2216700</b>	<b>923625</b>

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

არის წინააღმდეგა, რომ მოვსახოვთ სარედაქციო კომისიას, რომ მომავალ სხდომებისთვის უსათუოთ წარმოადგინოთ ის ცვლილებანი, რომელიც არის მიღებული. კენჭს ვუყრი ამ წინადადებას. ეს წინადადება მიღებულია. კრებას ვხურავ.

კრება იხურება 3 საათზე და 15 წუთზე.

